

შპს „საირმის რეკრეაციული ფერმა“

სამონადირეო მეურნეობის

მართვის გეგმა

თბილისი

2025 წ.

სარჩევი

ა) სამონადირეო მეურნეობის მართვის მიზნები, ამოცანები და განვითარების სტრატეგია.....	4
ბ) ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ბიო ეკოლოგიური დახასიათება	4
ბ.ა) სამონადირეო მეურნეობის ადგილმდებარეობა და ფართობი.....	4
ბ.ბ) სამონადირეო მეურნეობის განთავსების კოორდინატები	6
ბ.გ) ტერიტორიის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.....	7
ბ.დ) მცენარეული საფარი	8
ბ.ე) ტერიტორიაზე არსებული (მოზინადრე) გარეულ ცხოველთა ნუსხა.....	10
გ) სანადირო ცხოველების საბინადრო პირობების შეფასება.....	16
გ.ა) სავარგულების ფართობების იდენტიფიკაცია სანადირო ცხოველების თითოეული სახეობისათვის შესაფერის და არაშესაფერის საბინადრო ტერიტორიებად.....	16
გ.ბ) სავარგულების იდენტიფიკაცია ჰაბიტატების მიხედვით, სავარგულების ეკოლოგიური და ბიოლოგიურ - ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება.....	17
დ) სანადირო ცხოველების რესურსის შეფასება.....	18
დ.ა) სანადირო ცხოველების სახეობრივი სიმდიდრე	18
დ.ბ) სანადირო ცხოველების გავრცელება, განსახლება და განთავსება საბინადროდ შესაფერის სავარგულებში	19
დ.გ) სანადირო ცხოველების დასახლების სიმჭიდროვე შესაფერის საბინადრო სავარგულების ტერიტორიაზე და ტიპოლოგიურ ერთეულებში.....	24
დ.დ) სანადირო ცხოველების დაცვა, აღწარმოება და სამეურნეო გამოყენება.....	25
დ.ე) შესაფერის საბინადრო სავარგულებში მოზინადრე ცხოველების პოტენციალური და ოპტიმალური რიცხოვნობა და დასახლების სიმჭიდროვე	26
დ.ვ) ბიოტექნიკური ღონისძიებები	28
დ.ზ) სანადირო სამეურნეო გამოყენება, შესაძლებელი მოპოვების კვოტები; სამონადირეო მეურნეობის ეკონომიკური პოტენციალი.....	29
ე) სამონადირეო მეურნეობის ზონირება	31
ვ) ცხოველთა აღრიცხვა და მონიტორინგი	34
ვ.ა) მონიტორინგის პროგრამა (მონიტორინგის საქმიანობათა გეგმა).....	34
ვ.ბ) ცხოველთა აღრიცხვის მეთოდები	36
ზ) ცხოველთა დაცვისა და აღწარმოების ღონისძიებები	37
ზ.ა) ცხოველთა რეინტროდუქციის ან/და რესტოკინგის ღონისძიებები (საჭიროების მიხედვით);.....	37
ზ.ბ) ბიოტექნიკური ღონისძიებები.....	41
ზ.გ) საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ცხოველთა სახეობების დაცვის, შენარჩუნებისა და აღწარმოების ღონისძიებები.....	41
ზ.დ) ინვაზიური სახეობების ელიმინაციის ღონისძიებები (საჭიროების შემთხვევაში)	43
ზ.ე) მოქმედი ბუნებრივი და ანთროპოგენური ნეგატიური ფაქტორების და პოტენციური საფრთხეების იდენტიფიკაცია და მათი აღმოფხვრის/შერბილების ღონისძიებები.....	43

თ) ბიომრავალფეროვნების, მათ შორის, ენდემური და რელიქტური სახეობების, მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვისა და მდგრადი მართვის ღონისძიებები.....	43
ი) ტერიტორიის განაწილება ხანძრის საშიშროების კლასების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების ნუსხა	44
კ) ინფორმაცია ტყეების სანიტარიული მდგომარეობის შესახებ და გაუმჯობესების ღონისძიებები, ტყის ენტომომავნებლებით და ფიტო დავადებებით ტყეების დაავადების პროფილაქტიკისა და სალიკვიდაციოდ რეკომენდებული ღონისძიებების ნუსხა ცალკეული ტერიტორიების მიხედვით	45
ლ) ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის მექანიზმები.....	46
მ) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაგეგმილი ღონისძიებები.....	46
ნ) ინფრასტრუქტურის განვითარება.....	46
ო) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები	47
პ) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ჰიდროლოგიური ქსელის დახასიათება	48
საქმიანობის დროში განაწილება.....	49

ა) სამონადირეო მეურნეობის მართვის მიზნები, ამოცანები და განვითარების სტრატეგია

სამონადირეო მეურნეობის მართვის მიზანია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე გარეულ ცხოველთა დაცვის, აღწარმოების, მდგრადი სარგებლობისა და მათი საბინადრო გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, მართვის გეგმის ამოცანებია:

- სანადირო ცხოველების საბინადრო პირობების გაუმჯობესება;
- მათი დაცვა-შენარჩუნების, გამრავლებისა და განსახლების ხელის შეწყობა;
- საჭიროების შესაბამისად სანადირო ცხოველთა აღდგენა - ხელოვნური მოშენება და მიზნობრივი გამოყენება;
- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვა-აღდგენის ხელშეწყობა;
- ტურიზმის, მათ შორის სამონადირეო ტურიზმისა და ამისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარება;
- სალიცენზიო ტერიტორიის დაცვა და არსებული ჰაბიტატების/სანადირო სავარგულების მოვლის ღონისძიებების გატარება.

სამონადირეო მეურნეობის განვითარების სტრატეგია გულისხმობს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ამ გეგმის მიხედვით დაგეგმილ ქმედებათა, აგრეთვე საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად დასახული აქტივობების გეგმაზომიერ განხორციელებას, რათა შეიქმნას ცხოველების, მათი საბინადრო გარემოს და მდგრადი ნადირობისათვის უსაფრთხო, ხელსაყრელი და მიმზიდველი გარემო პირობები, გრძელვადიანი შენარჩუნებისა და სარგებლის მისაღებად.

ბ) ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ბიო ეკოლოგიური დახასიათება

ბ.ა) სამონადირეო მეურნეობის ადგილმდებარეობა და ფართობი

სამონადირეო მეურნეობა მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტში და მისი ფართობი შეადგენს 13142 ჰექტარს.

რუკა 1. სამონადირეო მეურნეობის რუკა.



ბ.ბ) სამონადირეო მეურნეობის მდებარეობა

სამონადირეო მეურნეობის განთავსების მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების დასახელება, რეგიონი, რაიონი, სახელმწიფო ტყის კვარტლები (სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებობის შემთხვევაში), დაცული ტერიტორიის დასახელება (სამონადირეო მეურნეობის დაცულ ტერიტორიაზე არსებობის შემთხვევაში), გეოგრაფიული მდებარეობა - სამონადირეო მეურნეობის საზღვრების წვეროების X და Y კოორდინატები, ადგილობრივი UTM კოორდინატთა სისტემაში; მყარი გეოგრაფიული ნიშნულები, რომელთა სიახლოვესაც მდებარეობს სამონადირეო მეურნეობა;

ცხრილი 1. სამონადირეო მეურნეობისთვის გათვალისწინებული სატყეოებისა და კვარტლების ჩამონათვალი

ვანი-ბაღდათის სატყეო უბანში, 13142 ჰა ფართობზე პერსპექტიული სამონადირეო მეურნეობისთვის გათვალისწინებული სატყეოებისა და კვარტლების ჩამონათვალი			
სატყეო უბანი	სატყეო	კვარტალი	შენიშვნა
ვანი-ბაღდათი	სულორი	23; 33-34; 39, 42;	ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიას ვადა გასდის 2028 წ. აღნიშნულ ვადამდე სამონადირეო მეურნეობაზე დაკისრებული ღონისძიებები, ისევე როგორც ნადირობის წარმოება, ვერ განხორციელდება, გარდა სავარგულის ცხოველთა დაცვის ღონისძიებებისა.
	ვანი-საირმე	11,13, 18-19;	ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია. ვადა გასდის 2028 წ. აღნიშნულ ვადამდე სამონადირეო მეურნეობაზე დაკისრებული ღონისძიებები, ისევე როგორც ნადირობის

		წარმოება, ვერ განხორციელდება, გარდა სავარგულის ცხოველთა დაცვის ღონისძიებებისა.
		22; 24-55; 58
	საირმე	4, 5, 6, 7,8, 9, 10, 11, 15, 16, 17, 18, 20, 21, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 37, 38, 39, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58.
		კვარტალი #4 ნაწილობრივ, ლიტერები #14-18;

სამონადირეო მეურნეობის განთავსების კოორდინატები

სამონადირეო მეურნეობა განთავსებულია იმერეთის მხარეში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში, შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებში:

ცხრილი 2. შპს „საირმის რეკრეაციული ფერმის“ სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის საზღვრების წვეროების კოორდინატები აღებული UTM კოორდინატთა სისტემაში

ჰორიზონტის მხარეები	სამონადირეო მეურნეობის საზღვრების წვეროების კოორდინატები აღებული UTM კოორდინატთა სისტემაში	
	X	Y
ჩრდილოეთი (N)	42.008470	42.708712
დასავლეთი (W)	41.912471	42.670386
აღმოსავლეთი (E)	41.920625	42.779143
სამხრეთი (S)	41.808851	42.750435

სამონადირეო მეურნეობა ბაღდათიდან დაშორებულია დაახლოებით 18 კმ-ით, ხოლო თბილისიდან 175 კმ-ით.


რუკა 2. სამონადირო მეურნეობის მდებარეობა



სამონადირო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია ნომ: 000031

შპს „საირმის რეკრეაციული ფერმა“

საერთო ფართობი
13142 ჰა
2025 წელი



Legend

-  სამონადირო მეურნეობა
-  ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორია

WGS_1984_UTM_Zone_38N



ბ.გ) ტერიტორიის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

რელიეფი, სიმაღლე ზღვის დონიდან (ლიცენზიით განსაზღვრულ მთელ ტერიტორიაზე მინიმალური და მაქსიმალური სიმაღლის მითითებებით)

რელიეფი:

მთის, ზომიერად თბილი ჰუმიდური ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საშუალო მთის ტყის კოლხური ლანდშაფტის ქვეტიპი. აქ გვხვდება საშუალო მთის ეროზიულ - დენუდაციური წიფლნარი და წიფლნარ-წაბლნარი ტყეები, მარადმწვანე ქვეტყით, ზოგან შქერიანით. მთის ზომიერად ცივი ტიპი საშუალო მთის მუქწიწვიანი ტყის და ზედა მთის ტყის ფიჭვნარისა და არყნარის ქვეტიპებით. აქ გავრცელებულია საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი წიფლნარ - მუქწიწვიანებით და მუქწიწვიანებით (აღმოსავლური ნაძვი, კავკასიური სოჭი) მარადმწვანე ქვეტყით, საშუალო მთის ეროზიულდენუდაციური ლანდშაფტი წიფლნარ - მუქწიწვიანი, ზოგან ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვი) ტყეებით, ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური, იშვიათად პალეოგლაციური ლანდშაფტი არყის ხის, ზოგან ფიჭვის (კავკასიური ფიჭვის) ტყეებითა და მაღალმთისა და იმერული მუხის დაბალტანიანი ტყეებით. მაღალი მთის მდელოს ტიპი მაღალი მთის სუბალპური ტყე-ბუჩქნარ-მდელოს ქვეტიპით, სადაც გავრცელებულია მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციური ლანდშაფტი მაღალბალახოვანი და ხშირბალახოვანი მდელოების კომპლექსით, ბუჩქნარებითა და ტანბრეცილი ტყეებით (წიფლის და არყის ხის), მაღალი მთის ვულკანური ლანდშაფტი სუბალპური მდელოებისა და მდელო-სტეპის ბალახეული საფარით, მაღალი მთის დენუდაციურ პალეოგლაციური ლანდშაფტი ალპური მდელოებით, ხშირად დეკიანებთან კომპლექსში.

ნალექების რაოდენობა იცვლება 647 მმ-დან 1499 მმ-მდე წელიწადში. ნალექი ზამთარში მოდის თოვლის სახით. თოვლის საფარის წყალშემცველობა საირმის მიდამოებში 149 მმ-ია.

სიმაღლე ზღვის დონიდან:

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია ზღვის დონიდან 1000 – 2500 მ სიმაღლეზეა.

ბ.დ) მცენარეული საფარი

ფლორისტული შემადგენლობა, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მითითებით, მათი კომპაქტური გავრცელების ადგილები; არსებული ჰაბიტატების ტიპები, მათი ფართობების განსაზღვრა, აღწერა და დახასიათება.

ფლორისტული შემადგენლობა:

მიწათდაფარულობის ანალიზით ირკვევა, რომ ზოგადი საკვლევი არეალის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უკავია ბუნებრივ ლანდშაფტებს. მიწის საფარი წარმოდგენილია ძირითადად მარადმწვანე ტყეებით, მცირე ფართობები უკავია ფოთლოვან ტყეებს, დიდი ტერიტორიაა დაფარული ბუჩქნარებით და მდელოებით. აქ გავრცელებულია ფიჭვი, რომელიც ქმნის წმინდა და ნაძვთან შერეულ კორომებს. აქ გვხვდება აგრეთვე მუხა, იფანი, ვერხვი, პანტა, მაჟალო, არყი და სხვა. ქვეტყე წარმოდგენილია მოცვით, შქერით, წყავით, ჭყორით, მოცხრით, მოლოზანათი და სხვა. მე-4 სარტყელს, ტყის ზედა ზოლს („ბრძოლის სარტყელი“) ზღვის დონიდან 2200 – 2500 მეტრამდე უკავია. იგი ძირითადად წარმოდგენილია არყით, ნეკერჩხლით, ჭნავით და ფიჭვით.

ცხრილი 3. გავრცელებული ხეებისა და ბუჩქების ჩამონათვალი

ხეები და ბუჩქები		შენიშვნა
ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	
თელადუმა	<i>Ulmus scabra</i>	
წიფელი აღმოსავლური	<i>Fagus Orientalis</i>	
ჩვეულებრივი მურყანი	<i>Alnus barbata</i>	
დიდგულა	<i>Sambucus nigra L.</i>	
წყავი	<i>Prunus laurocerasus L.</i>	
სოჭი კავკასიური	<i>Abies nordmanniana</i>	
ნაძვი აღმოსავლური	<i>Picea orientalis</i>	
ჩვეულებრივი თხილი	<i>Corylus avellana</i>	
იმერული თხილი	<i>Corylus imeretica Kem</i>	
შინდი	<i>Cornus mas</i>	
ჯონჯოლი	<i>Staphylea pinnata</i>	
შინდანწლა	<i>Swida iberica</i>	
ჯაგრცხილა	<i>Carpinus orientalis</i>	
რცხილა	<i>Carpinus caucasica</i>	
წყავი	<i>Prunus laurocerasus</i>	

შქერი	<i>Rhododendron ponticum</i>	
ცაცხვი კავკასიური	<i>Tilia caucasica Rupr.</i>	
მაყვალი	<i>rubus froiticus</i>	
ნეკერჩხალი მაღალი მთის	<i>Acer trautvetteri Medw.</i>	
მუხა იმერული	<i>Quercus imeretina</i>	წითელი ნუსხა (VU)
ჭნავი	<i>Sorbus aucuparia</i>	
ვერხვი	<i>Populus tremula</i>	
ფიჭვი	<i>Pinus sylvestris var hamata</i>	
არყი	<i>Brtula pubescens</i>	
პანტა	<i>Pyrus caucasica</i>	
იფანი	<i>Fraxinus excelsior</i>	
მაჟალო	<i>Malis orientalis</i>	

მცენარეული სარტყელის ზონირება:

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიის სამხრეთ ექსპოზიციაზე განლაგებული ფერდობები მიკუთვნებულია მესხეთჯავახეთის ოლქს. ამ ოლქს დასავლეთით ესაზღვრება არსიანის ქედი, ჩრდილო-დასავლეთით - აჭარაიმერეთის და თრიალეთის ქედები, აღმოსავლეთით ჯავახეთის (კეზთის) ქედი, სამხრეთით სახელმწიფო საზღვარი თურქეთთან. იგი ხასიათდება ჰავის სიმშრალითა და კონტინენტალობით. ამ ოლქის მცენარეულობა ფრიად ღარიბია ძველი მესამეული პერიოდის რელიქტური მცენარეებით. აქ გამოყოფილია ოთხი სარტყელი. წიფლის სარტყელი, ტერიტორიის ნაწილი განლაგებულია ამ ოლქის მე-3 და მე-4 სარტყლებში. მე-3 სარტყელისათვის დამახასიათებელია ნაძვნარ-სოჭნარი ტყეები (ზღვის დონიდან 1000-დან 2000-2200 მეტრამდე), აქ აგრეთვე გავრცელებულია კავკასიური ფიჭვი, რომელიც ქმნის წმინდა და ნაძვთან შერეულ კორომებს. აქ გვხვდება აგრეთვე მუხა, იფანი, ვერხვი, პანტა, მაჟალო, არყი და სხვა. ქვეტყე წარმოდგენილია ველური მოცვით, შქერით, წყავით, ჭყორით, მოცხრით, მოლოზანათი და სხვა. მე-4 სარტყელს, ტყის ზედა ზოლს („ბრძოლის სარტყელი“) ზღვის დონიდან 2200 – 2500 მეტრამდე უკავია. იგი ძირითადად წარმოდგენილია არყით, მაღალმთის ნეკერჩხლით და ჭნავით.


ენდემური სახეობები: მუხა ქართული (*Quercus iberica*), მუხა იმერული (*Quercus imeretina*);

არსებული ჰაბიტატების ტიპების და ფართობების განსაზღვრა:

ცხრილი 4. მცენარეული სარტყელის ზონირება და ფართობი

N	დასახელება	ფართობი (ჰა)
1	წიწვოვანი	646
	ფოთლოვანი	1700
2	შერეული ტყე	6500
2	ალპური	2780
4	კლდოვანი მასივი	1516
	სულ	13,142

რუკა 3. მცენარეული სარტყელის ზონირება



ბ.ე) ტერიტორიაზე არსებული (მობინადრე) გარეულ ცხოველთა ნუსხა

ბუბუმწოვრების, ფრინველების, რეპტილიების, ამფიბიების, თევზების ნუსხა (ქართული და ლათინური დასახელებებით); ტერიტორიაზე არსებული (მობინადრე) ფაუნის საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების ნუსხა (ქართული და ლათინური დასახელებებით) და მათი არსებული მდგომარეობის შეფასება, რიცხოვნობა;

ბუბუმწოვრები (Mammalia)

ცხრილი 5. ტერიტორიაზე არსებული (მობინადრე) ბუბუმწოვრები (Mammalia)

N	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	შენიშვნა
1.	აღმოსავლეთევროპული ზღარბი	<i>Erinaceus concolor</i>	
2.	კავკასიური თხუნელა	<i>Talpa caucasica</i>	
3.	მცირე ცხვირნალა	<i>Rhinolophus hipposideros</i>	
4.	დიდი ცხვირნალა	<i>Rhinolophus ferrumequinum</i>	
5.	ჩვეულებრივი დამურა	<i>Vespertilio murinus</i>	
6.	ჯუჯა ღამორი	<i>Pipistrellus pipistrellus</i>	
7.	ევროპული მაჩქათელა	<i>Barbastella barbastellus</i>	წითელი ნუსხა (VU)
8.	ბილგუდა	<i>Glis glis</i>	
9.	კავკასიური ციყვი	<i>Sciurus anomalus</i>	წითელი ნუსხა
10.	ჩვეულებრივი ციყვი	<i>Sciurus vulgaris</i>	ინვაზიური სახეობა
11.	დედოფალა/სინდიოფალა	<i>Mustela nivalis</i>	
12.	მინდვრის თავცი	<i>Apodemus agrarius</i>	ენდემური სახეობა
13.	მცირე ტყის თავცი	<i>Apodemus uralensis</i>	ენდემური სახეობა

14.	პონტოს ტყის თაგვი	<i>Apodemus ponticus</i>	ენდემური სახეობა
15.	სახლის თაგვი	<i>Mus musculus</i>	ენდემური სახეობა
16.	შავი ვირთაგვა	<i>Rattus rattus</i>	
17.	მელა	<i>Vulpes vulpes</i>	
18.	მგელი	<i>Canis lupus</i>	
19.	ტურა	<i>Canis aureus</i>	
20.	ფოცხვერი	<i>Lynx lynx</i>	წითელი ნუსხა (VU)
21.	მურა დათვი	<i>Ursus arctos</i>	წითელი ნუსხა (NT)
22.	კლდის კვერნა (თეთრგულა კვერნა)	<i>Martes foina</i>	
23.	ტყის კვერნა (ყვითელგულა კვერნა)	<i>Martes martes</i>	
24.	მაჩვი	<i>Meles meles</i>	
25.	ტყის კატა	<i>Felis silvestris</i>	
26.	შველი	<i>Capreolus capreolus</i>	
27.	კეთილშობილი კავკასიური ირემი	<i>Cervus elaphus</i>	წითელი ნუსხა (EN)
28.	არჩვი	<i>Rupicapra rupicapra asiatica</i>	წითელი ნუსხა (EN)
29.	გარეული ღორი	<i>Sus scrofa</i>	
30.	კურდღელი	<i>Lepus europaeus</i>	

ფრინველები (Aves)

ცხრილი 6. ფრინველები

N	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	შენიშვნა
1.	ძერა	<i>Milvus migrans</i>	
2.	გველიჭამია (ან ძერაბოტი)	<i>Circaetus gallicus</i>	
3.	ქორცქეცა (ან შავთვალა მიმინო, ლევანმიმინო)	<i>Accipiter brevipes</i>	წითელი ნუსხა (VU)
4.	მიმინო	<i>Accipiter nisus</i>	
5.	ქორი	<i>Accipiter gentilis</i>	
6.	ჩვეულბრივი კაკაჩა	<i>Buteo buteo</i>	
7.	ფეხბანჯგვლიანი კაკაჩა	<i>Buteo lagopus</i>	
8.	ველის კაკაჩა	<i>Buteo rufinus</i>	წითელი ნუსხა (VU)
9.	კრაზანაჭამია	<i>Pernis apivorus</i>	
10.	ჩია არწივი	<i>Hieraetus pennatus</i>	
11.	ბეჟობის (ან თეთრმხრება) არწივი	<i>Aquila heliaca</i>	წითელი ნუსხა (VU)
12.	დიდი მყივანი არწივი	<i>Aquila clanga</i>	წითელი ნუსხა (VU)
13.	მცირე მყივანი არწივი	<i>Clanga pomarina</i>	
14.	ველის არწივი	<i>Aquila nipalensis</i>	
15.	მთის არწივი	<i>Aquila chrysaetus</i>	წითელი ნუსხა (VU)
16.	ფასკუნჯი	<i>Neophron percnopterus</i>	წითელი ნუსხა (VU)
17.	ბატკანძერი	<i>Gypaetus barbatus</i>	წითელი ნუსხა (VU)
18.	სვაჯი	<i>Aegypius monachus</i>	წითელი ნუსხა (EN)
19.	ორბი	<i>Gyps fulvus</i>	წითელი ნუსხა (VU)
20.	ჭაობის ძელქორი (ან ჭაობის ბოლობეჭედა)	<i>Circus aeruginosus</i>	

21.	მინდვრის ძელქორი (ან მინდვრის ბოლობეჭედა)	<i>Circus cyaneus</i>	
22.	ველის ძელქორი (ან ველის ბოლობეჭედა)	<i>Circus macrourus</i>	
23.	მდელოს ძელქორი (ან მდელოს ბოლობეჭედა)	<i>Circus pygargus</i>	
24.	ბარი (ან გავაზი)	<i>Falco cherrug</i>	წითელი ნუსხა (CR)
25.	წითელთავა შავარდენი	<i>Falco biarmicus</i>	წითელი ნუსხა (VU)
26.	ჩვეულებრივი შავარდენი	<i>Falco peregrinus</i>	
27.	მარჯანი	<i>Falco subbuteo</i>	
28.	ალალი	<i>Falco columbarius</i>	
29.	თვალშავი (წითელფეხა შავარდენი)	<i>Falco vespertinus</i>	წითელი ნუსხა (EN)
30.	მცირე (ან ველის) კირკიტა	<i>Falco naumanni</i>	წითელი ნუსხა (CR)
31.	ჩვეულებრივი კირკიტა	<i>Falco tinnunculus</i>	
32.	კავკასიური როჭო	<i>Lyrurus mlokosiewiczii</i>	წითელი ნუსხა (VU)
33.	კასპიური შურთხი	<i>Tetraogallus caspius</i>	წითელი ნუსხა (VU)
34.	მწყერი	<i>Coturnix coturnix</i>	
35.	რუხი წერო	<i>Grus grus</i>	წითელი ნუსხა (EN)
36.	წეროტურფა	<i>Anthropoides virgo</i>	
37.	ღალღა	<i>Crex crex</i>	
38.	ტყის ქათამი (ვალდშნეპი)	<i>Scolopax rusticola</i>	
39.	ქედანი	<i>Columba palumbus</i>	
40.	გუგული	<i>Cuculus canorus</i>	
41.	ზარნაშო	<i>Bubo bubo</i>	
42.	ყურებიანი ბუ (ან ოლოლი)	<i>Asio otus</i>	
43.	ჭაობის ბუ	<i>Asio flammeus</i>	
44.	წყრომი	<i>Otus scops</i>	
45.	ჭოტი	<i>Athene noctua</i>	
46.	ტყის ბუ	<i>Strix aluco</i>	
47.	უფეხურა	<i>Caprimulgus europaeus</i>	
48.	ნამგალა	<i>Apus apus</i>	
49.	მეკირია (ან თეთრმუცელა ნამგალა)	<i>Tachymarptis melba</i>	
50.	ოქროსფერი კვირიონი	<i>Merops apiaster</i>	
51.	შავი კოდალა	<i>Dryocopus martius</i>	
52.	მწვანე კოდალა	<i>Picus viridis</i>	
53.	დიდი ჭრელი კოდალა	<i>Dendrocopos major</i>	
54.	საშუალო ჭრელი კოდალა	<i>Leipicus medius</i>	
55.	მცირე ჭრელი კოდალა	<i>Dryobates minor</i>	
56.	მაქცია	<i>Jynx torquilla</i>	
57.	რქოსანი ტოროლა	<i>Eremophila alpestris</i>	
58.	ტყის ტოროლა	<i>Lullula arborea</i>	
59.	მინდვრის ტოროლა	<i>Alauda arvensis</i>	
60.	სოფლის მერცხალი	<i>Hirundo rustica</i>	
61.	კლდის მერცხალი	<i>Hirundo rupestris</i>	
62.	ქალაქის მერცხალი	<i>Delichon urbicum</i>	
63.	ტყის მწყერჩიტა	<i>Anthus trivialis</i>	
64.	მდელოს მწყერჩიტა	<i>Anthus pratensis</i>	
65.	წითელგულა მწყერჩიტა	<i>Anthus cervinus</i>	

66.	მთის მწყერჩიტა	<i>Anthus spinoletta</i>	
67.	თეთრი ბოლოქანქარა	<i>Motacilla alba</i>	
68.	რუხი ბოლოქანქარა	<i>Motacilla cinerea</i>	
69.	ყვითელი ბოლოქანქარა	<i>Motacilla flava</i>	
70.	ყვითელთავა ბოლოქანქარა	<i>Motacilla citreola</i>	
71.	ჩვეულებრივი ღაჟო	<i>Lanius collurio</i>	
72.	ტყის ჭვინტაკა	<i>Prunella modularis</i>	
73.	ალპური ჭვინტაკა	<i>Prunella collaris</i>	
74.	მცირე თეთრყელა ასპუჭაკა	<i>Sylvia curruca</i>	
75.	შავთავა ასპუჭაკა	<i>Sylvia atricapilla</i>	
76.	ჩვეულებრივი ჭივჭავი (ჩვეულებრივი ყარანა)	<i>Phylloscopus collybita</i>	
77.	მთის ჭივჭავი (მთის ყარანა)	<i>Phylloscopus sindianus</i>	
78.	მომწვანო ჭივჭავი (მომწვანო ყარანა)	<i>Phylloscopus trochiloides</i>	
79.	ყვითელთავა ნარჩიტა (ყვითელთავა დაბუაჩიტი)	<i>Regulus regulus</i>	
80.	რუხი ბუზიჭერია (რუხი მემატლია)	<i>Muscicapa striata</i>	
81.	თეთრყელა ბუზიჭერია (თეთრყელა მემატლია)	<i>Ficedula albicollis</i>	
82.	შავთავა ოვსადი	<i>Saxicola torquatus</i>	
83.	თეთრწარბა (ანუ მდელოს) ოვსადი	<i>Saxicola rubetra</i>	
84.	კლდის ლურჯი შაშვი	<i>Monticola solitarius</i>	
85.	კლდის ჭრელი შაშვი	<i>Monticola saxatilis</i>	
86.	ჩვეულებრივი მელორღია	<i>Oenanthe oenanthe</i>	
87.	შავი ბოლოცეცხლა	<i>Phoenicurus ochruros</i>	
88.	ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა	<i>Phoenicurus phoenicurus</i>	
89.	გულწითელა	<i>Erithacus rubecula</i>	
90.	შაშვი	<i>Turdus merula</i>	
91.	თეთრგულა შაშვი	<i>Turdus torquatus</i>	
92.	რუხთავა შაშვი	<i>Turdus pilaris</i>	
93.	თეთრწარბა (ანუ ფრთაყვალა) შაშვი	<i>Turdus iliacus</i>	
94.	წრიპა შაშვი (მგალობელი შაშვი)	<i>Turdus philomelos</i>	
95.	ჩხართვი	<i>Turdus viscivorus</i>	
96.	თოხიტარა	<i>Aegithalos caudatus</i>	
97.	მცირე წივწივა (მცირე წიწკანა)	<i>Parus ater</i>	
98.	დიდი წივწივა (დიდი წიწკანა)	<i>Parus major</i>	
99.	მოლურჯო წივწივა (მოლურჯო წიწკანა)	<i>Parus caeruleus</i>	
100.	ჩვეულებრივი ხეცოცია	<i>Sitta europaea</i>	
101.	მცირე კლდეცოცია	<i>Sitta neumayer</i>	
102.	შავთავა ხეცოცია	<i>Sitta krueperi</i>	
103.	ფრთაწითელი კლდეცოცია	<i>Tichodroma muraria</i>	
104.	ჩვეულებრივი მგლინავა	<i>Certhia familiaris</i>	
105.	ჭინჭრაქა (ლობემძვრალა)	<i>Troglodytes troglodytes</i>	
106.	წყლის შაშვი	<i>Cinclus cinclus</i>	
107.	მეფეტვია (ანუ მინდვრის გრატა)	<i>Miliaria calandra</i>	
108.	კლდის გრატა	<i>Emberiza cia</i>	
109.	ჩრდილოეთის სკვინჩა	<i>Fringilla montifringilla</i>	
110.	სკვინჩა (ნიბლია)	<i>Fringilla coelebs</i>	

111.	ჩიტბატონა	<i>Carduelis carduelis</i>	
112.	შავთავა მწვანულა	<i>Carduelis spinus</i>	
113.	მწვანულა	<i>Carduelis chloris</i>	
114.	მთის ჭვინტა	<i>Carduelis flavirostris</i>	
115.	ჭვინტა (მეკანაფია)	<i>Carduelis cannabina</i>	
116.	სტვენია	<i>Pyrrhula pyrrhula</i>	
117.	კულუმბური	<i>Coccothraustes Coccothraustes</i>	
118.	წითელშუბლა მთიულა	<i>Serinus pusillus</i>	
119.	მოყვითალო მთიულა	<i>Serinus serinus</i>	
120.	ჩვეულებრივი კოჭობა	<i>Carpodacus erythrinus</i>	
121.	ნისკარტმარწუხა	<i>Loxia curvirostra</i>	
122.	მინდვრის ბელურა	<i>Passer montanus</i>	
123.	სახლის ბელურა	<i>Passer domesticus</i>	
124.	შოშია (შროშანი)	<i>Sturnus vulgaris</i>	
125.	ჩხიკვი	<i>Garrulus glandarius</i>	
126.	წითელნისკარტა მალრანი	<i>Pyrrhonorax pyrrhonorax</i>	
127.	ყვითელნისკარტა მალრანი	<i>Pyrrhonorax graculus</i>	
128.	ყორანი	<i>Corvus corax</i>	
129.	რუხი ყვავი	<i>Corvus corone</i>	
130.	ჭკა	<i>Corvus monedula</i>	

რეპტილიები (Reptilia)

ცხრილი 7. რეპტილიები (Reptilia)

N	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	შენიშვნა
1.	სპილენძა	<i>Coronella austriaca</i>	
2.	ნაირფერი მცურავი	<i>Hemorrhois ravergieri</i>	
3.	წენგოსფერი მცურავი	<i>Platyceps najadum</i>	
4.	მდელოს ხვლიკი	<i>Darevskia praticola</i>	
5.	მარდი ხვლიკი	<i>Lacerta agilis</i>	
6.	ბოხმეჭა	<i>Anguis colchica</i>	
7.	საშუალო ხვლიკი	<i>Lacerta media</i>	
8.	ჩვეულებრივი ანკარა	<i>Natrix natrix</i>	
9.	წყლის ანკარა	<i>Natrix tessellata</i>	
10.	კავკასიური გველგესლა	<i>Vipera kaznakovi</i>	წითელი ნუსხა (VU)

ამფიბიები (Amphibia)

ცხრილი 8. ამფიბიები (Amphibia)

N	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	შენიშვნა
1.	მწვანე გომბეშო	<i>Bufo variabilis</i>	

2.	აღმოსავლური ვასაკა	<i>Hyla orientalis</i>	
3.	კავკასიური ჯვარულა	<i>Pelodytes caucasicus</i>	
4.	ტბორის ბაყაყი	<i>Pelophylax ridibundus</i>	
5.	მცირეაზიური ბაყაყი	<i>Rana macrocnemis</i>	
6.	ჩვეულებრივი ტრიტონი	<i>Lissotriton lantzi</i>	
7.	კავკასიური სალამანდრა	<i>Mertensiella caucasica</i>	წითელი ნუსხა (VU) ენდემური სახეობა
8.	მცირეაზიური ტრიტონი	<i>Ommatotriton ophryticus</i>	

თევზები (Pisces)

ცხრილი 9. თევზები (Pisces)

N	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	შენიშვნა
1	მდინარის/ტბის კალმახი	<i>Salmon Fario</i>	წითელი ნუსხა (VU)

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ფაუნის სახეობები, შემდეგი რაოდენობით:

ცხრილი 10. სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ფაუნა და სახეობების რაოდენობა

ფაუნა	სახეობების რაოდენობა			
	ფაუნის სახეობების რაოდენობა	ენდემური სახეობების რაოდენობა	ინვაზიური სახეობების რაოდენობა	„წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების რაოდენობა
ძუძუმწოვრები	31	4	1	6
ფრინველები	130			16
რეპტილიები	12			1
ამფიბიები	9			1
თევზები	1			1

სამონადირეო მეურნეობაში მობინადრე, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მდგომარეობა, ტერიტორიის დაცვის ქმედებების გათვალისწინებით, საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ვინაიდან, კვლევის პროცესში დაფიქსირდა, არჩვის სამხრეთული ქვესახეობის (*Rupicapra rupicapra asiatica*) არსებობა. ითვლებოდა რომ ეს სახეობები საკმაოდ ვრცელი პერიოდის განმავლობაში საქართველოში, აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გარდა, იყო გადაშენებული. აქედან გამომდინარე, სამონადირეო მეურნეობას, დამატებით ექნება, ზემოთ ხსენებული სახეობების კონსერვაციის და ზედამხედველობის ფუნქცია, ამასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ ჩატარებული ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის მონადირეების, გამოკითხვიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ ორ

სახეობაზე ნადირობა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან სისტემატიურად მიმდინარეობდა, არა მხოლოდ შველსა და გარეულ ღორზე, არამედ აღნიშნულ ორივე სახეობაზე, მოყოლებული საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან. ასევე ირკვევა, რომ უკანონო მოპოვება (ბრაკონიერობა) მნიშვნელოვნად არის შემცირებული, მას შემდეგ რაც შეიქმნა აღნიშნული სამონადირეო მეურნეობა, რომელმაც უზრუნველყო სალიცენზიო მეურნეობის ფართობის დასაცავად სარეინჯერო სამსახურის შექმნა და აღჭურვა, მაღალი გამავლობის ავტომტრანსპორტი და სპეციალური საშუალებებით (ფოტოხაფანგები, რაციები, დურბინები ა.შ). აქ ხაზგასასმელია, რომ სამონადირეო მეურნეობა, თავისი არსით, მოიაზრება, როგორც სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვისა და შენარჩუნების მძლავრი ბერკეტი. სამონადირეო მეურნეობის შექმნა, მისი მდგრადად და სწორად მართვის შემთხვევაში, დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების შემდგომ, რიგით მეორე მექანიზმად შეიძლება მოიაზრებოდეს. აღნიშნული შესაბამისობაშია IUCN-ის მიმართულებებთან, სახეობათა შენარჩუნებისთვის სხვადასხვა ბერკეტის ამოქმედებასთან დაკავშირებით. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებითაა დაგეგმილი სამონადირეო მეურნეობის სამომავლო საქმიანობა და ბუნებრივია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი (გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი) სახეობების დაცვის, შენარჩუნებისა და აღდგენის ქმედებები სათანადოდ იქნება დაგეგმილი და განხორციელებული.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ წითელ ნუსხაში შეტანილია ის სახეობები, რომლებსაც გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფის სტატუსი აქვთ (სხვადასხვა დაცულობის ხარისხით), ბუნებრივია მათი მდგომარეობა და საკონსერვაციო სტატუსი საჭიროებს განსაკუთრებულ მიდგომებს და გაუმჯობესების ქმედებებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით. აღნიშნულისთვის, წინამდებარე მართვის გეგმითაც დასახულია სათანადო ქმედებები, რომლებიც მოცემულია ქვევით, შესაბამის ქვეთავში, რაც გულისხმობს სანადირო მეურნეობის ტერიტორიაზე სპეციალური დაცული ზონების (აღწარმოების უბნების) შექმნას, რომელთა გამოყენება არ მოხდება საკუთრივ ნადირობის კუთხით და იქნება განხილული, როგორც აღწარმოებისა და სარეპროდუქციო უბნები. (იხ. ქვევით)

გ) სანადირო ცხოველების საბინადრო პირობების შეფასება

გ.ა) სავარგულების ფართობების იდენტიფიკაცია სანადირო ცხოველების თითოეული სახეობისათვის შესაფერის და არაშესაფერის საბინადრო ტერიტორიებად

სავარგულების ფართობების სამონადირეო ტიპოლოგიური იდენტიფიკაცია განხორციელდა შერჩევითი მეთოდებით: სახელმწიფო ტყის ფართობებზე - ტყის ტიპების მიხედვით, ხოლო არასატყეო ტერიტორიებზე - აგროლანდშაფტების ტიპების მიხედვით.

სანადირო ცხოველების თითოეული სახეობისათვის შესაფერისი და არაშესაფერისი საბინადრო ტერიტორიის დადგენისათვის გამოყენებული იქნა ცხოველთა სიმჭიდროვის ინდექსაციის პრინციპები.

- **შველისთვის, როგორც ძირითადი სანადირო სახეობისთვის, საბინადროდ შესაფერისია მთელი ფართობი, გარდა კლდოვანი ფერდობებისა.**

- **კეთილშობილი ირმისთვის**, რომელიც მისი პოპულაციის მკვეთრი შემცირების გამო, **ადარ ითვლება სანადირო სახეობად**, მაგრამ ითვლება უმნიშვნელოვანეს და აღდგენისთვის პრიორიტეტულ სახეობად, საბინადრო შესაფერისი სავარგულებია: წიწვოვანი და შერეული ტყეები, ხეები და ხრამები. ეპიზოდურად საბინადრო სტაციებია ველობები და სახნავები.
- ასევე წითელი ნუსხის ბინადარი, დღეის მდგომარეობით არასანადირო სახეობის - **არჩვის** საბინადროდ შესაფერისია სამონადირეო მეურნეობის ტყეები, სუბალპური, ალპური და ნივალური სარტყლები. აღნიშნული ცხოველი შემჩნეულია მეურნეობის ჩრდილო-აღმოსავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მთებზე და ახასიათებს პერიოდული, მაგრამ ხანმოკლე შემოსვლა მეურნეობის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ არჩვის ჰაბიტატად ვარგისი კლდოვანი მთები მდებარეობს მეურნეობის საზღვრის გასწვრივ, მაგრამ არ შედის მეურნეობის საზღვრებში.
- ასევე წითელი ნუსხის ბინადარი **მურა დათვისთვის** საბინადრო შესაფერისი სავარგულებია შერეული ტყეები, ხეები და ხრამები. ეპიზოდურად საბინადრო სტაციებია ველობები, სახნავები და ბალები.
- **გარეული ღორისათვის**, რომელიც შეიძლება გახდეს მეურნეობის წამყვანი სანადირო სახეობა, საბინადრო შესაფერისი სავარგულებია ტყის კულტურები, ხეები და ხრამები. ეპიზოდურად საბინადრო სტაციებია ველობები.
- **კურდღლისათვის** საბინადროდ ვარგისია ბუჩქნარები, ველობები, სახნავები, ბალები, ხეები, ხრამები, კლდოვანი ნაშალები და ტყის კორომები.
- **ტყის ქათმისათვის** საბინადროდ ვარგისია ბუჩქნარები, ტყის კულტურები და ბალები.
- **მგელი, მელა, ყვითელგულა კვერნა**: საბინადროდ შესაფერისია მთელი ფართობი.
- **ტურა**: მდინარეთა ჭალები, დაბალი ზონის ტყეები, სახნავი ფართობები და დასახლებული პუნქტების მიმდებარე ფართობები;
- **მაჩვი, ტყის კატა**: ტყე და ტყის მიმდებარე სუბალპური სარტყელი.

სანადირო ცხოველების საბინადრო სავარგულების ბუნებრივი თვისებები და მათი ტრანსფორმაცია სამეურნეო გამოყენების შედეგად განაპირობებენ ნადირ-ფრინველის დღე-ღამურ, სეზონურ და წლიურ საბინადრო სივრცის თვისებებსა და ხარისხს. სავარგულების სამონადირეო-ტიპოლოგიური იდენტიფიკაცია და მათი შეფასება გარეული ცხოველების საბინადროდ ვარგისიანობის კუთხით კი უშუალოდ ეყრდნობა სატყეო ტიპოლოგიურ, სატაქსაციო და გეობოტანიკურ მახასიათებლებს.

გ.ბ) სავარგულების იდენტიფიკაცია ჰაბიტატების მიხედვით, სავარგულების ეკოლოგიური და ბიოლოგიური - ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება

- **წიწვოვანი (ნაძვი და სოჭი)** - ტერიტორიაზე გავრცელებულია კავკასიური სოჭი და აღმოსავლური ნაძვი, წარმოდგენილია რამდენიმე დამოუკიდებელი კორომი, თუმცა ძირითადად წიწვოვანი მცენარეები გავრცელებულია სხვა ფოთლოვან მცენარეებთან ერთად და ადგენენ შერეულ ტყეებს.
- **შერეული ტყე** - ტერიტორიის ძირითადი ნაწილი უკავია შერეულ ტყეს სადაც დომინანტ სახეობებს წარმოადგენს წიფელი, რცხილა, სოჭი და ნაძვი.

- **ქვეტყე** - ფართობის ნაწილებში განვითარებულია თანაბრად, ხოლო ნაწილებში წარმოდგენილია მაყვლის ხშირი, რაყებით. ხშირია მხვიარა მცენარეები - სურო, ეკალჯილი ლიქენები, შქერი, მოცვი და დეკა.
- **ველები** - წარმოდგენილია ბალახოვანი მცენარეებით.
- **ბაღები** - განთავსებულია ძირითადად შენობა-ნაგებობათა მიმდებარე ფართობებზე.
- **ხეები, ხრამები,** - მიმოფანტულია სავარგულების თითქმის მთელ ტერიტორიაზე, მცენარეული საფარი აქ სუსტად განვითარებულია, ძირითადად გავრცელებულია ქვეტყე.
- **წყლები** - წყლიან სავარგულს წარმოადგენს მდინარე ხანის წყალი, წაბლარისწ ყალი და მათი პატარ-პატარა შენაკადები.
- **კლდეები და ნაშალები** - ტერიტორიაზე გვხვდება მცირე დენუდაციური ფრაგმენტები და კლდოვანი მასივები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სავარგული ხელსაყრელი ჰაბიტატია გარეულ ცხოველთა სხვადასხვა სახეობის ბინადრობისთვის. ამ ფართობების ეკოლოგიური მდგომარეობა უზრუნველყოფს ცხოველთა განსახლებას, ბინადრობისა და გამრავლების ხელსაყრელ პირობებს. თუმცა გეგმით დადგენილია სხვადასხვა ხელშემწყობი ქმედების განხორციელება, რაც ასახულია ქვემოთ, შესაბამის ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარგულების ეკონომიკური მდგომარეობა, ტერიტორიის ფართობისა და დაგეგმილი აღდგენა-ხელშეწყობის ქმედებების გათვალისწინებით, დამაკმაყოფილებლად შეიძლება იქნას მიჩნეული.

დ) სანადირო ცხოველების რესურსის შეფასება

დ.ა) სანადირო ცხოველების სახეობრივი სიმდიდრე

სამონადირო მეთუნეობის ტერიტორიაზე სანადირო ცხოველების სიმდიდრე წარმოდგენილია მკვიდრი, ეპიზოდურად მობინადრე ან გადამფრენი სახეობებით.

ცხრილი 11. სანადირო ცხოველების სახეობრივი სიმდიდრე

N	სანადირო სახეობების დასახელება		სტატუსი
	ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	
ძუძუმწოვრები (Mammalia)			
1.	გარეული ღორი	<i>Sus scrofa</i>	ნადირობის ობიექტი
2.	კურდღელი	<i>Lepus europeus</i>	ნადირობის ობიექტი
3.	მგელი	<i>Canis lupus</i>	ნადირობის ობიექტი
4.	მელა	<i>Vulpes vulpes</i>	ნადირობის ობიექტი
5.	მაჩვი	<i>Meles meles</i>	ნადირობის ობიექტი
6.	ტურა	<i>Canis aureus</i>	ნადირობის ობიექტი
7.	შველი	<i>Capreolus capreolus</i>	ნადირობის ობიექტი
ფრინველები (Aves)			
1.	მწყერი	<i>Coturnix coturnix</i>	ნადირობის ობიექტი
2.	ქედანი	<i>Columba palumbus</i>	ნადირობის ობიექტი
3.	გულიო (ან გვიძინი)	<i>Columba oenas</i>	ნადირობის ობიექტი

4.	ღალღა	<i>Crex crex</i>	ნადირობის ობიექტი
5.	ტყის ქათამი	<i>Scolopax rusticola</i>	ნადირობის ობიექტი


დ.ბ) სანადირო ცხოველების გავრცელება, განსახლება და განთავსება საბინადროდ შესაფერის სავარგულებში

ცხრილი 12. სანადირო ცხოველების გავრცელების არე ფართობის მიხედვით

N	სანადირო სახეობების დასახელება		კონკრეტული სახეობისათვის ვარგისი საბინადრო სავარგულის ფართობი (ჰა)	შეაფერისი საბინადრო სავარგული
	ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება		
1.	გარეული ღორი	<i>Sus scrofa</i>	9 000	შერეული ტყე, მცირე მუხრანები, ხევები, ველობები
2.	კურდღელი	<i>Lepus europeus</i>	4 000	ბუჩქნარები, ველობები და ტყის კორომები.
3.	შველი	<i>Capreolus capreolus</i>	11 000	თითქმის მთელი ტერიტორია, გარდა კლდოვანი ფერდობებისა
4.	მგელი	<i>Canis lupus</i>	12 000	თითქმის მთელი ტერიტორია
5.	მელა	<i>Vulpes vulpes</i>	10 000	თითქმის მთელი ტერიტორია
6.	მაჩვი	<i>Meles meles</i>	10 000	ბუჩქნარი, ველობი, შერეული ტყეები
7.	ტურა	<i>Canis aureus</i>	4 000	ბუჩქნარი, ველობი, შერეული ტყეები, დასახლებების მიმდებარე ფართობები
8.	მწყერი	<i>Coturnix coturnix</i>	1 000	მინდვრები და ალპური მდელოები
9.	ქედანი	<i>Columba palumbus</i>	13 000	მთელი ტერიტორია
10.	გულიო (გვიძინი)	<i>Columba oenas</i>	13 000	მთელი ტერიტორია
11.	ღალღა	<i>Crex crex</i>	1 000	მინდვრები და ალპური მდელოები
12.	ტყის ქათამი	<i>Scolopax rusticola</i>	4 000	მთელი ტერიტორია

სახეობების გავრცელების რუკები:

რუკა 4. გარეული ღორის გავრცელების არეალი.



სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია ნომ: 000031

შპს „საირმის რეკრეაციული ფერმა“

საერთო ფართობი
13142 ჰა
2025 წელი


Legend

- გარეული ღორის გავრცელება
- სამონადირეო მეურნეობა

WGS_1984_UTM_Zone_38N



რუკა 5. შველის გავრცელების არეალი.



სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია ნომ: 000031

შპს „საირმის რეკრეაციული ფერმა“

საერთო ფართობი
13 142 ჰა
2025 წელი


Legend

- სამონადირეო მეურნეობა
- შველის გავრცელება


WGS_1984_UTM_Zone_38N



რუკა 6. მგლის გავრცელების არეალი.



რუკა 7. ტურის გავრცელების არეალი.




რუკა 8. დათვის გავრცელების არეალი.



სამონადირო მუხრნეობის საპეციალური ლიცენზია ნომ: 000031

შპს „საირმის რეკრეაციული ფერმა“

საერთო ფართობი
13 142 ჰა
2025 წელი




Legend

-  სამონადირო მუხრნეობა
-  დათვის გავრცელება


WGS_1984_UTM_Zone_38N



რუკა 9. გნოლის და როჭოს გავრცელების არეალი



რუკა 10. ირმის გავრცელების არეალი



ცხრილი 13. მკვიდრი და ეპიზოდურად მოზინადრე სანადირო ცხოველების განსახლება და განთავსება საბინადროდ შესაფერის სავარგულებში

გარეული ღორი	სავარგულის ტერიტორიაზე შემოდის ეპიზოდურად ზაფხულის პერიოდში, როდესაც შინაური პირუტყვი გაყვანილია საზაფხულო საძოვრებზე. მიგრირებს მთელი წლის განმავლობაში.
შველი	გვხვდება და მოძრაობს მთელი წლის განმავლობაში.
კურდღელი	ბინადრობს სავარგულის ტყეველიანსა და ბუჩქნარში რაც წარმოადგენს მისთვის კარგ თავშესაფარს.
მგელი	ადგილობრივი პოპულაცია გვხვდება მთელი წლის განმავლობაში.
მელა	მოძრაობს სავარგულის მთელ ფართობში.
ტურა	მოძრაობს სავარგულის მთელ ფართობში.
მაჩვი	მოძრაობს სავარგულის მთელ ფართობში.
ქედანი, გულიო (გვიძინი)	ბინადრობენ ველობებში, სახნავებში და შერეული ტყის ფართობზე.
მწყერი, დალა	სავარგულის ტერიტორიაზე საბუდარი ადგილები მცირეა. შედარებით მეტი რაოდენობით ბუდობს მოსაზღვრე ტერიტორიებზე.
ტყის ქათამი	სავარგულის ტერიტორიაში საშემოდგო გადაფრენისას შეიძლება დარჩეს ტყის კორომებში დაახლოებით ერთი თვით ან მეტით (სეზონური, მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად).

დ.გ) სანადირო ცხოველების დასახლების სიმჭიდროვე შესაფერის საბინადრო სავარგულების ტერიტორიაზე და ტიპოლოგიურ ერთეულებში

სამონადირეო მეურნეობაში წარმოდგენილია სხვადასხვა კატეგორიის სავარგულების ოპტიმალური ტევადობა, რაც გულისხმობს - სანადირო ცხოველების თოთოეული სახეობის დასახლების სიმჭიდროვეს, ოპტიმალურ რიცხოვნობას ფართობის გარკვეულ ერთეულზე.

გარეული ცხოველების საბინადრო სავარგულების არსებობის პირობების ხარისხის შეფასება სავარგულების ტევადობის მაჩვენებლებში აისახება შემდეგნაირად:

ცხრილი 14. გარეული ცხოველების საბინადრო სავარგულების არსებობის პირობების ხარისხის შეფასება სავარგულების ტევადობის მაჩვენებლებში

N	სახეობის დასახლება		კონკრეტული სახეობისათვის არსებული საბინადრო სავარგულის ფართობი (ჰა)	ფოტომახეობით განსაზღვრული მიახლოებითი რიცხოვნობა	არსებული რიცხოვნობის დასახლების სიმჭიდროვე 1000 ჰა-ზე
	ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება			
1.	გარეული ღორი	<i>Sus scrofa</i>	9,000	40	4.44

2.	კურდღელი	<i>Lepus europeus</i>	4,000	100	25.00
3.	მგელი	<i>Canis lupus</i>	12,000	12	1.00
4.	მელა	<i>Vulpes vulpes</i>	10,000	80	8.00
5.	მაჩვი	<i>Meles meles</i>	10,000	150	15.00
6.	ტურა	<i>Canis aureus</i>	4,000	25	6.25
7.	შველი	<i>Capreolus capreolus</i>	11,000	200	18.18

დ.დ) სანადირო ცხოველების დაცვა, აღწარმოება და სამეურნეო გამოყენება

სამონადირო მეურნეობის წარმატებული ფუნქციონირების, მართვისათვისა და სანადირო ცხოველების საბინადრო პირობების ხარისხის დადგენისათვის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს სავარგულების მდგომარეობის შეფასება, დაცვის მუდმივი კონტროლი, მათზე სეზონური დაკვირვებები და აღრიცხვის მეთოდოლოგიური წარმოება. ლიცენზირებულ ტერიტორიაზე დღემდე ხორციელდება სავარგულების ფიზიკური დაცვა და არსებობის შემთხვევაში ბრაკონიერული ქმედებების აღკვეთა. სანადირო ცხოველების საბინადრო სავარგულების ხარისხის ამალგების მიმართულებით გაუმჯობესდება კვების, თავშესაფრის, ბუდობის, ბუნაგობის და ნამატის გამოზრდის ხელშემწყობი პირობები. როგორც აუცილებელი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიება, კონტროლზეა დაავადებათა (არსებობის შემთხვევაში) პრევენციის აღმოფხვრის საკითხები. სანადირო ცხოველების სამეურნეო პროდუქტიულობის გამოყენება განისაზღვრება ყოველწლიურად მოპოვებისათვის დაშვებული რიცხოვნობის გათვალისწინებით. ასეთი დანაკარგი არ უნდა აღემატებოდეს იმაზე მეტს, რისი შევსებაც შემდგომში ბუნებრივი პირობების ხარჯზე ვეღარ მოხერხდება.

მაგალითად:

ცხრილი 15. სანადირო ცხოველების სავარგულების მდგომარეობის შეფასება

N	მაჩვენებლის დასახელება	სანადირო ცხოველები						
		გარეული ღორი	კურდღელი	მგელი	მელა	მაჩვი	ტურა	შველი
1	შესაფერისი საბინადრო სავარგული	9,000	4,000	12,000	10,000	10,000	4,000	11,000
2	საერთო რიცხოვნობა	40	100	12	80	150	25	200
3	მოპოვების ნორმა %	35	30	50	25	20	50	5
4	მოპოვების ოდენობა	14	30	6	20	30	12	10

სანადირო ცხოველების ბიოლოგიური და სამეურნეო პროდუქტიულობის სავარაუდო ნორმები:

სამონადირეო სავარგულების ბიოლოგიური პროდუქტიულობა წარმოადგენს სანადირო ცხოველების წლიური სიცოცხლისუნარიანი ნამატის მიღებას და შენარჩუნებას.

ცხრილი 16. სანადირო ცხოველების ბიოლოგიური და სამეურნეო პროდუქტიულობის სავარაუდო ნორმები

N	სახეობის დასახელება		შეფარდება მამრი ო ÷ მდედრი	სიმწიფის ასაკი მამრი ÷ მდედრი	ნამატი ერთ ბუდო ბაზე	წლიური ნამატის რაოდენობა	აღწარმობის დონე %	წლიური ბუნებრივი ნამატი %	წლიური საშ. მატება %	მოპოვების ნორმა %
	ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება								
1.	გარეული ღორი	<i>Sus scrofa</i>	$\frac{1}{1} : \frac{2}{5}$	$\frac{3}{1.5 - 2.5}$	3-7	1-3	100-300	40-100	20-80	20-60
2.	კურდღელი	<i>Lepus europeus</i>	1 : 1	$\frac{1}{0.5}$	2-6	1-5	100-500	80-150	60-100	40-80
3.	მგელი	<i>Canis lupus</i>	1 : 1	$\frac{2.5 - 3}{1.5}$	4-12	2-6	400-500	100-150	50-100	50-80
4.	მელა	<i>Vulpes vulpes</i>	1 : 1	$\frac{1 - 1.5}{1}$	2-6	1-4	200-400	100-300	70-150	20-70
5.	მაჩვი	<i>Meles meles</i>	1 : 1	$\frac{2}{1}$	3-5	1-2	100-300	50-150	30-80	15-30
6.	ტურა	<i>Canis aureus</i>	1 : 1	$\frac{2 - 3}{1 - 1.5}$	2-8	1-5	300-500	100-200	50-100	50-80
7.	შველი	<i>Capreolus capreolus</i>	1 : 1	$\frac{1}{0.5}$	1-2	1-2	100-150	100-150	100-150	5

წარმოების ორგანიზების მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ სამონადირეო მეურნეობაში პრაქტიკულად გამორიცხულია ნადირობის წარმოება მორეკვის წესით, გამომდინარე შემდეგი ორი მიზეზიდან:

1. სარეკით ნადირობა იწვევს სავარგულში არსებული ყველა ცხოველის, მათ შორის წითელი ნუსხის სახეობების კეთილშობილი ირმისა და არჩვის დაფრთხობას და გარიდებას სარეკი ადგილებიდან დიდი ხნით, რის გამოც ნაცვლად კონსერვაციული ღონისძიებებისა, შედეგად დადგება სავარგულების დაცარიელება აღნიშნული სახეობებისგან.
2. რთული, მაღალმთიანი კლდოვანი ლანდშაფტი გამორიცხავს ნადირობის ასეთ წესს, ვინაიდან ურთულესი და დიდი დროის მომცველი იქნება ჯერ მონადირეთა განთავსება მთიანი ტყეების ციცაბო ფერდობებზე შერჩეულ სასროლ ნომრებზე,

	ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება						სავარგულების 1000 ჰა-ზე		
1	გარეული ღორი	<i>Sus scrofa</i>	16	12	8	4	2	20	9,000	4.44
2	კურდღელი	<i>Lepus europeus</i>	150	100	7	35	15	200	4,000	25.00
3	მგელი	<i>Canis lupus</i>	2	1	0.6	0.3	0.1	5	12,000	1.00
4	მელა	<i>Vulpes vulpes</i>	25	15	10	5	2	20	10,000	8.00
5	მაჩვი	<i>Meles meles</i>	12	8	5	5	1	10	10,000	15.00
6	ტურა	<i>Canis aureus</i>	25	15	10	5	2	15	4,000	6.25
7	შველი		15	10	8	2	1	100	11,000	18.18

ცხრილი 18. სანადირო ცხოველების ზრდადობა/კლებადობის დინამიკა წლების (პერიოდი: მომდევნო სამი წელი) მიხედვით

ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	წელი		
		2025	2026	2027
გარეული ღორი	<i>Sus scrofa</i>	40		
კურდღელი	<i>Lepus europeus</i>	100		
მგელი	<i>Canis lupus</i>	12		
მელა	<i>Vulpes vulpes</i>	80		
მაჩვი	<i>Meles meles</i>	150		
ტურა	<i>Canis aureus</i>	25		
შველი	<i>Capreolus capreolu</i>	200		

დ.ვ) ბიოტექნიკური ღონისძიებები

სანადირო ცხოველების დაცვის შენარჩუნების, გამრავლების და განსახლების ხელის შეწყობი ღონისძიებები, სანადირო ცხოველების საბინადრო პირობების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებები

ბიოტექნიკური ღონისძიებების კომპლექსური მიზანდანიშნულება თითოეულ კერძო შემთხვევაში, პირობითად შეგვიძლია განვიხილოთ ორ ჯგუფად:

- ღონისძიებები, მიმართული სანადირო ცხოველების საბინადრო სავარგულებში არსებობის პირობების ხარისხის გაუმჯობესებაზე, სადაც უმჯობესდება კვების, თავშესაფრის, ბუდობის და ბუნაგობის, ნამატის გამოზრდის და სეზონური ადგილგადასაცვლების პირობები.

- ღონისძიებები, მიმართული უშუალოდ გარეული ცხოველების დაცვაზე, შენარჩუნებაზე, გამრავლებასა და განსახლებაზე, სადაც ხორციელდება სანადირო ცხოველების სახეობრივი სიმდიდრის რიცხოვნობის გაზრდა, სავარგულებში განსახლება. საჭიროებისამებრ ხელოვნური მოშენება.

სამონადირო მეურნეობაში სანადირო ცხოველების დაცვა, შენარჩუნება, აღწარმოება, რაციონალური გამოყენება და ბიოტექნიკური ღონისძიებების ჩატარება ემსახურება იმას, რომ მიღწეული (ან შენარჩუნებული) იყოს გარეულ ცხოველებისა და მათი რიცხოვნობის მდგრადი მდგომარეობა.

სამონადირო მეურნეობის სავარგულები ძირითადად წარმოადგენს მთიან შერეულ ტყეებს. არსებული გარეული ნადირ-ფრინველის საბინადრო პირობების მდგომარეობა დღეის მდგომარეობით დამაკმაყოფილებელია.

მონიტორინგით (მონიტორინგის გეგმაში გათვალისწინებულია საბინადრო გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვება) თუ გამოვლინდა პირობების გაუარესება, დაიგეგმება და გატარდება სათანადო, დამატებითი ქმედებები. მართვის გეგმაში კი შეტანილი იქნება ცვლილება, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ბიოტექნიკური ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ, შესაბამის თავში.

დ.ზ) სანადირო სამეურნეო გამოყენება, შესაძლებელი მოპოვების კვოტები; სამონადირო მეურნეობის ეკონომიკური პოტენციალი

- სანადირო ცხოველების სავარაუდო სამეურნეო გამოყენება სამონადირო მეურნეობის სავარგულებში:

ცხრილი 19. სანადირო ცხოველების სავარაუდო სამეურნეო გამოყენება სამონადირო მეურნეობის სავარგულებში

N	სახეობის დასახელება		ოპტიმალური რიცხოვნობა 1000 ჰა	სავარგულის ფართობი (ჰა)	არსებული რიცხოვნობა	მოპოვების ნორმა %	წლიური სავარაუდო სამეურნეო გამოყენება
	ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება					
1	გარეული ღორი	<i>Sus scrofa</i>	20	9,000	40	35	14

2	კურდღელი	<i>Lepus europeus</i>	200	4,000	100	30	30
3	მგელი	<i>Canis lupus</i>	5	12,000	12	50	6
4	მელა	<i>Vulpes vulpes</i>	20	10,000	80	25	20
5	მაჩვი	<i>Meles meles</i>	10	10,000	150	20	30
6	ტურა	<i>Canis aureus</i>	15	4,000	25	50	12.5
7	შველი	<i>Capreolus capreolu</i>	100	11,000	200	10	20

სამონადირეო მეურნეობის სავარგულებში ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე, სანადირო ცხოველებზე კანონით დადგენილი ნადირობის სეზონის დროს შესაძლებელია დაიშვას ნადირობა და ცხოველთა მოპოვებისათვის განისაზღვროს მათი მდგომარეობის, რაოდენობის და სხვა მონაცემების, მათ შორის პროცენტული მაჩვენებლების გათვალისწინებით.

ცხრილი 20. გარეული ცხოველების მოპოვების შესაძლებელი კვოტები

N	სახეობის დასახელება		არსებული რიცხოვნობა	არსებული რიცხოვნობის დასახლების სიმჭიდროვე 1000 ჰა-ზე	წლიური მოპოვების ნორმა %	მოპოვების შესაძლებელი რაოდენობა
	ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება				
1	გარეული ღორი	<i>Sus scrofa</i>	40	4.44	35	14
2	კურდღელი	<i>Lepus europeus</i>	100	25.00	30	30
3	მგელი	<i>Meles meles</i>	12	1.00	50	6
4	მელა	<i>Vulpes vulpes</i>	80	8.00	25	20
5	მაჩვი	<i>Canis aureus</i>	150	15.00	20	30
6	ტურა	<i>Canis lupus</i>	25	6.25	50	12.5
	შველი		200	18.18	10	20

სამონადირეო მეურნეობის მიერ გარეული ცხოველების მოპოვების კვოტების მოთხოვნა მომდევნო წლებისთვის სავარაუდოდ იქნება სხვა რიცხობრივი მაჩვენებლებით, იმ პერიოდში ცხოველთა პოპულაციის მდგომარეობისა და ჩატარებული აღრიცხვის მონაცემების გათვალისწინებით.

ლიცენზირებულ ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის ნადირობა მოხდება ნადირობის სეზონის ვადებში კანონით დადგენილი წესების მკაცრი დაცვით.

სამონადირეო მეურნეობის ეკონომიკური პოტენციალი:

ცხრილი 21. ერთ მონადირე ტურისტზე მომსახურების სავარაუდო ხარჯები

N	მომსახურების დასახელება	დღიური მომსახურების ფასი (ლარი)
1	ტრანსპორტირება	250
2	გამყობი, მეგზური	100
3	კვება	60
4	ღამის თევა	120
სულ ხარჯი		530
1	რეინჯერის ყოველთვიური ხელფასი	800
სულ ხარჯი		800
მთლიანი ღირებულება		1330

ნადირობის სეზონზე სავარაუდო ხარჯები და შემოსავლები სანადირო ცხოველების (ერთი ინდივიდი) რეალიზაციიდან:

ცხრილი 22. ნადირობის სეზონზე სავარაუდო ხარჯები და შემოსავლები სანადირო ცხოველების (ერთი ინდივიდი) რეალიზაციიდან

N	სახეობის დასახელება	ინდივიდების რაოდ.	მოპოვების ღირებულება	ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი (ლარი)	შემოსავალი	მოსაპოვებელი წლიური კვოტა	წლიური მოსაკრებელი (ლარი)	წლიური შემოსავალი (ლარი)
1	გარეული ღორი	1	300	100	200	14	1,400	2,800
2	კურდღელი	1	40	2	38	30	60	1,140
3	მგელი	1	200	100	100	6	600	600
4	მელა	1	150	50	100	20	1,000	2,000
5	მაჩვი	1	30	20	10	30	600	300
6	ტურა	1	50	15	35	13	188	438
7	შველი	1	600	500	100	20	10,000	2,000
სულ ჯამი			1,395	789	606		14,098	12,153

ე) სამონადირეო მეურნეობის ზონირება

სამონადირეო მეურნეობის დაყოფა შიდასამეურნეო დანიშნულების მიხედვით: სანადირო უბანი, აღკვეთილი, აღწარმოების უბანი, ნადირ-ფრინველის საშენი. დეტალური რუკა, რომლის მახასიათებლები განსაზღვრულია „სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის“ მე-3 მუხლით

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და წონასწორობის შენარჩუნების მიზნით (აღკვეთილისა და აღწარმოების უბნები) სავარგულების საერთო ფართობის 25%-მდე უნდა განეკუთვნოს ამ მიზნობრივ ტერიტორიულ ერთეულებს.

ცხრილი 23. სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და წონასწორობის შენარჩუნების მიზნით შექმნილი უბნები.

ზონა	კვარტალი	ჰა	კომენტარი
აღწარმოების ზონა / გამრავლების უბნები			
კეთილშობილი ირმის გამრავლების უბანი	43, 52, 53, 54, 57, 58,	1055,21	სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია რომელიც განსაზღვრულია გარეული ნადირ-ფრინველის ბუდობის, გამრავლების, ნამატის მიღებისა და გამოზრდის ხელშეწყობისათვის. ამ მონაკვეთზე მთელი წლის განმავლობაში ნადირობა აკრძალულია.
შვლის აღწარმოების უბანი	44, 45, 46, 47	396	
გარეული ღორის აღწარმოების უბანი	27, 28, 32, 33, 34	1548	
სანადირო ზონა		5816,58	
სანადირო ზონა			
სანადირო ზონა	3, 4, 9, 10, 22, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 37, 38, 39, 42, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 55, 56, 61	3385	სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიის ამ უბნებზე დაშვებული იქნება ნადირობა, დამტკიცებული კვოტების საფუძველზე.
ნადირ-ფრინველის საშენი			
კეთილშობილი ირმის საშენი (გარემოსთან ინტეგრირებული ვრცელი ვოლიერი)	ლიცენზირებული ტერიტორია	6	კოორდინატები (UTM კოორდინატთა სისტემა) X 41.950133 Y 42.749312

ამისათვის სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია, შიდასამეურნეო დანიშნულების მიხედვით, უნდა დაიყოს შემდეგ ერთეულებად (სქემა მოცემულია თანდართულ რუკაზე):


რუკა 11. სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე გამოყოფილი ირმის საშენი.



სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია ნომ: 000031

შპს „საირმის რეკრეაციული ფერმა“

საერთო ფართობი
13142 ჰა
2025 წელი



Legend

- სამონადირეო მეურნეობა
- ირმის საშენი

WGS_1984_UTM_Zone_38N




რუკა 12. სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე გამოყოფილი სანადირო უბანი



სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია ნომ: 000031

შპს „საირმის რეკრეაციული ფერმა“

საერთო ფართობი
13142 ჰა
2025 წელი



Legend

- სანადირო უბანი
- სამონადირეო მეურნეობა

WGS_1984_UTM_Zone_38N



ვ) ცხოველთა აღრიცხვა და მონიტორინგი, რომელშიც აისახება

ვ.ა) მონიტორინგის პროგრამა (მონიტორინგის საქმიანობათა გეგმა)

მონიტორინგის მიზანი, მონიტორინგის ობიექტები, მეთოდები, მონიტორინგის გეგმა წლების მიხედვით. მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს სანადირო და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სხვა სახეობებზე, შესაბამისი შიდა მონიტორინგის დოკუმენტაციის წარმოებით (ეგერის დღიურები, მონიტორინგის ჟურნალი და სხვა); რომელსაც აგრეთვე უნდა დაერთოს ფოტომასალა ან/და ვიდეომასალა GPS კოორდინატების აღნიშვნით (დროისა და თარიღის მითითებით), ასევე კვლევის განმახორციელებელი სპეციალისტის/სპეციალისტების შესახებ ინფორმაცია;

მონიტორინგის პროგრამა შედგენილია განსაზღვრული სამოქმედო გეგმის მიხედვით. მონიტორინგის ძირითად მიზანს წარმოადგენს სამონადირო მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებული როგორც სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე დაკვირვების წარმოება, მათი მდგომარეობის შეფასება. აგრეთვე მონიტორინგი განხორციელდება იმ პარამეტრების მიხედვით, რაც საჭიროა გარეულ ცხოველთა მდგომარეობის შესაფასებლად, უარყოფითი ფაქტორების აღმოსაფხვრელად, დამატებითი - მდგომარეობის გამოსწორება-გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა-განსახორციელებლად და სხვა. მნიშვნელოვანია ასევე დაკვირვება ცხოველთა საბინადრო გარემოს მდგომარეობაზე, სანადირო და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ცხოველთა სახეობებთან მიმართებით. მონიტორინგი განხორციელდება შესაბამისი მონიტორინგის შიდა დოკუმენტაციის წარმოებით (ეგერის დღიური, მონიტორინგის ჟურნალი და სხვ.), რომელსაც, აგრეთვე დაერთვება ფოტომასალა ან/და ვიდეომასალა GPS კოორდინატების აღნიშვნით, ან დროის და თარიღის მითითებით. მონიტორინგის შედეგები გამოყენებული იქნება სამონადირო მეურნეობის მართვის გეგმისა და სალიცენზიო პირობების მოთხოვნების შესრულების მიზნებისთვის, მათ შორის ნადირობის ობიექტების მოპოვების კვოტების დადგენისას (ნადირობის პროცესის წარსამართავად), ყოველწლიური ანგარიშგების საწარმოებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვემოთ მოცემულია მონიტორინგის ერთწლიანი გეგმა (ცხრილი N22). ამავე სქემით მონიტორინგი განხორციელდება 10 (ათი) წლის განმავლობაში, შემდეგ მართვის გეგმის მოქმედების ვადის შესაბამისად. შესაძლებელია მას დაემატოს ის საკითხები, რომლებიც დამატებით (წარმოქმნის შემთხვევაში), შემდგომ პერიოდისათვის იქნება განსახორციელებელი. ამ შემთხვევაში ეცნობება სამინისტროს და მოთხოვნისამებრ შევა ცვლილება მართვის გეგმაში, კანონმდებლობის შესაბამისად.

ცხრილი 24. მონიტორინგის პროგრამა

N	სამონიტორინგო საკითხები	მონიტორინგის პერიოდი	შემსრულებელი	რეკომენდაცია / ქმედება
1	სამონადირე მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებული როგორც სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე დაკვირვება	წელიწადში 2-ჯერ (გაზაფხული / შემოდგომა)	ნადირმცოდნე, რეინჯერი	აღრიცხვის ჩატარება და შედეგების ანალიზი
2	სამონადირე მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებული როგორც სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობების მათი გამრავლება / განვითარებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობის დადგენის კუთხით მდგომარეობაზე დაკვირვება	წელიწადში 2-ჯერ (გაზაფხული / შემოდგომა)	ნადირმცოდნე, რეინჯერი	საფრთხეების იდენტიფიკაცია და ასეთის შემთხვევაში რეკომენდაციების მომზადება
3	სამონადირე მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებული როგორც სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე აღწარმოების მიმდინარეობაზე (ამ ქმედებების განხორციელებაზე და ეფექტიანობაზე) დაკვირვება	წელიწადში 2-ჯერ (გაზაფხული / შემოდგომა)	ნადირმცოდნე, რეინჯერი	ეფექტურობის დადგენა და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა, რეკომენდაციების მომზადება
4	სამონადირე მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებული როგორც სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე საბინადრო გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვება ჰაბიტატების მიხედვით	წელიწადში 2-ჯერ (გაზაფხული / შემოდგომა)	ნადირმცოდნე, რეინჯერი, სახეობათა სპეციალისტი	აღდგენითი ქმედებები
5	სამონადირე მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებულ მცენარეთა მავნე დაავადებების არსებობაზე დაკვირვება (მათ შორის საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე)	წელიწადში 1-ჯერ	მეტყვევე სპეციალისტი, რეინჯერი	შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება და განხორციელება, კანონმდებლობის შესაბამისად
6	სავარგულის ბიოტექნიკური კეთილმოწყობის მიმდინარეობაზე დაკვირვება	ყოველწლიურად	შესაბამისი სპეციალისტი, რეინჯერი	შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება
7	ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებების ეფექტურობაზე დაკვირვება	წელიწადში სეზონურად	მეტყვევე სპეციალისტი, რეინჯერი	ხანძარსაწინააღმდეგო კერების დროულად გამოვლენა და გაწმენდა

8	სამონადირე მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებული როგორც სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე დაავადებების არსებობაზე და მისი აღმოფხვრისათვის განხორციელებულ ქმედებებზე დაკვირვება	წელიწადში 2-ჯერ (გაზაფხული / შემოდგომა)	ნადირმცოდნე, ვეტერინარი, რეინჯერი	შესაბამისი ღონისძიებებისა და ქმედებების დაგეგმვა
9	ინვაზიური სახეობების რიცხოვნობაზე დაკვირვება	წელიწადში 2-ჯერ (გაზაფხული / შემოდგომა)	ნადირმცოდნე, ვეტერინარი, რეინჯერი	ინვაზიური სახეობების ელიმინაციური ქმედებების განხორციელებისათვის რეკომენდაციები
10	ნარჩენების მართვის ეფექტურობაზე დაკვირვება	პერიოდულად	რეინჯერი	ნარჩენების მართვის ქმედებების გაუმჯობესების რეკომენდაციების მომზადება, საჭიროებისამებრ

ვ.ბ) ცხოველთა აღრიცხვის მეთოდები

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ცხოველების დათვლა და მონიტორინგი ხდება სეზონურად ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში, ბუნებრივი კლიმატური პირობების ხელშეწყობის გათვალისწინებით. აღრიცხვა წარმოებს სანადირო მეურნეობის რეინჯერების ან საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტის (მათ შორის ნადირობისმცოდნე) მიერ. წინასწარ სპეციალურად შემუშავებულ ცხრილებში განხილულ იქნება არიცხვის დრო, კვარტლები, მარშრუტის კოორდინატები, სახეობათა ჩამონათვალი, რიცხოვნობა და სხვა.

შესრულებული სამუშაოების მონაცემები აისახება სააღრიცხვო ჩანაწერების დღიურში.

სანადირო ცხოველების დასახლების სიმჭიდროვის და რიცხოვნობის დადგენის მიზნით შემუშავებულია სხვადასხვა სახის აღრიცხვის მეთოდები, მაგ.: ცხოველთა გამორეკვის, ექსკრემენტების ჩანიშვნის, ფოტოხაფანგების, აკუსტიკური, აბსოლუტური, ლენტისებური, ირიბი, კომბინირებული, მოქმედი ბუდეებისა და ბუნაგების აღრიცხვის, ხეზე ნანახი ნაკაწრების ჩანიშვნის და სხვა. გამომდინარე იქიდან თუ რომელი მეთოდია მისაღები, სამონადირეო მეურნეობა იყენებს მისთვის სასურველ აპრობირებულ მეთოდს. ცხრილი 25. სააღრიცხვო ბარათის ფორმის ნიმუში

დამკვირვებელი (აღმრიცხველი) -----

რიცხვი ----- საკვლევო რეგიონი -----

ტყის კვარტალი N ----- ამინდი -----

დაწყების დრო ----- დამთავრების დრო -----

ტრანსექტის მიმართულება -----

ტრანსექტის სიგრძე -----

N	სახეობა (ობიექტი)	მიახლოებითი ასაკი	სქესი	ობიექტის რაოდენობა (კლასტერი)	პოვნის დრო	შენიშვნა
1						
2						
3						
4						
5						

ზ) ცხოველთა დაცვისა და აღწარმოების ღონისძიებები

ზ.ა) ცხოველთა რეინტროდუქციის ან/და რესტოკინგის ღონისძიებები (საჭიროების მიხედვით)

ლიცენზირებულ ტერიტორიაზე სანადირო ცხოველების შემოყვანა და განსახლება უნდა განხორციელდეს მიზნობრივი შერჩევის გზით. ცხოველების აღწარმოების, პოპულაციის აღდგენის, ასევე მათი სამონადირო მუხრნეობის ტერიტორიაზე შემოყვანის მიზნით დაგეგმილი მიმართულებები ასახულია წინამდებარე მართვის გეგმაში. ამ გეგმის მიხედვით დაგეგმილი ქმედებების განხორციელების თაობაზე წინასწარ ეცნობება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს, თუ ეს საჭიროებს დამატებით შეთანხმებას, ან ინფორმაციის წინასწარ მიწოდებას. ზოგადად

ანგარიშგება კი განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუ საჭირო გახდება მართვის გეგმით გაუთვალისწინებელი ქმედებების (იგულისხმება ცხოველთა რეინტროდუქციის, ან/და რესტოკინგის, ან სხვა შემოყვანა-განსახლება-აღდგენის ქმედებები) განხორციელება, ან/და კონკრეტული გეგმის მომზადება, სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმაში შეტანილი იქნება სათანადო ცვლილება/ები, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე მოწობილია და შემდგომში მოეწყობა ცხოველთა საშენ (ებ)ი - აღებული UTM კოორდინატთა სისტემაში - საშენი: 1) X 41.950133 Y 42.749312

საშენში მოშენებული ცხოველების ბუნებრივ გარემოში გაშვება მოხდება ყოველწლიურად, სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოსა და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლების თანდასწრებით.

დაგეგმილია სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე შემოვიყვანოთ ან/და მოვაშენოთ შემდეგი სახეობის ცხოველები:

ბუბუმწოვრები

კეთილშობილი კავკასიური ირემი (*cervus elaphus maral*) - მოშენება მოხდება ბუნებასთან ინტეგრირებული, შეღობილი ვოლიერის მეთოდით, რომლის ფართობი იქნება არანაკლებ 5 ჰექტარისა. აღნიშნულ საშენში გამრავლებული ყოველწლიური ნამატი ვოლიერის პირობებში დარჩება 2 წლის ასაკის ზღვრის მიღწევამდე, რის შემდეგაც მოხდება 2 წლის ასაკის ნამატის ველურ ბუნებაში გაშვება ყოველ მესამე წელს. გაშვებული ეგ ზემპლიარები აღჭურვილი იქნებიან სატელიტურ კავშირზე ინტეგრირებული სპეციალური საყელოებით მათი მოძრაობის მარშრუტების სამეთვალყურეოდ.

შერჩეულია საშენის ადგილი. მიმდინარეობს მშენებლობისთვის აუცილებელი, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გავლა. საშენის მშენებლობა დასრულდება 2026 წლის ზაფხულში.

აქ აღსანიშნავია, რომ კეთილშობილი ირმის საშენში უნდა განთავსდეს მხოლოდ მისი კავკასიური ქვესახეობა. აღნიშნული ქვესახეობის მოძიება საქართველოში პრაქტიკულად შეუძლებელია, თუ კი გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ არ იქნება გაცემული შესაბამისი ნებართვა სახეობის გამრავლების მიზნით ბუნებიდან ამოღების შესახებ. თუ სამინისტრომ განაცხადა უარი რაიმე არგუმენტირებული მიზეზით, მეურნეობას მოუწევს სახეობის ეგ ზემპლიარების მოძიება კავკასიის სხვა ქვეყნებში.

აღსანიშნავია, რომ კეთილშობილი კავკასიური ირმის პოპულაციები კარგად არის წარმოდგენილი რუსეთის ფედერაციის „ჩრდილოეთ-კავკასიურ ნაკრძალში“, რომელიც მდებარეობს კრასნოდარის მხარეში, ასევე ყაბარდო-ბალყარეთში და დაღესტანში. სამხრეთ კავკასიაში, სომხეთში პრაქტიკულად განადგურებულია, 2018 წელს ქალაქ დილიჯანში მოეწყო კავკასიური ირმის საშენი, მაგრამ მათთან კონტაქტით გამოირკვა, რომ საქმეები არც ისე სახარბიელოდ ვითარდება. აზერბაიჯანელ კოლეგებთან ურთიერთობამ გამოარკვია,

რომ მათთან ირემი კიდევ უფრო ნაკლებია ვიდრე საქართველოში. გარდა ამისა, კავკასიური ირმის მცირე პოპულაცია არის თურქეთში აღმოსავლეთ ანატოლიის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც სახეობას მკაცრად იცავენ, ასევე პოპულაცია ჰყავს ირანს მის ჩრდილოეთ ნაწილში (გილანი, მაზანდარანი და მიმდებარე პროვინციებში). რეალურად კეთილშობილი კავკასიური ირმის პოპულაციები ყველა ჩამოთვლილ ლოკაციაზე არის ძლიერ შემცირებული ისე, რომ ამ ქვეყნებში ირმის შექმნის პერსპექტივა საეჭვოდ გამოიყურება.

„საირმის რეკრეაციულ ფერმას“ აქვს სახეობის შექმნასთან დაკავშირებით მოლაპარაკება ყაზარდო-ბაღყარეთის არსებულ საშენ მეურნეობასთან. აუცილებელი იქნება მომწოდებლის თანხმობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი იყოს დნმ გენეტიკური კვლევის მასალები. ვინაიდან საკითხი შესასრულებლად აღმოჩნდა საკმაოდ რთული, ლიცენზიანტს დასჭირდება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელება. ამასთან, მიმდინარე წლის ივლისში, სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს მიერ ალგეთის დაცული ტერიტორიაზე სააგენტოს „კავკასიური ირმის საშენის“ დაფუძნება ბაღებს გონივრულ მოსაზრებას, რომ სუფთა სისხლის კავკასიური ირმების შექმნა მოხდეს ამ საშენიდან. სააგენტოს განცხადებით, შექმნა შესაძლებელი გახდება 2028/29 წლებიდან. მიმდინარეობს მოლაპარაკება.

არჩვი (*rupicapra rupicapra asiatica*) - მოშენება იგეგმებოდა ღია სივრცეში, მას შემდეგ, რაც დადგინდებოდა არჩვის პოპულაციის არსებობა, რისთვისაც უნდა ჩატარებულიყო შესაბამისი კვლევა.

განხორციელებული კვლევა (არჩვის მოშენების შესაძლებლობის კვლევა საირმის სამონადირეო მეურნეობაში, პროფ. ზ.გურიელიძე, 2025 წელი) მიუთითებს, რომ ადგილზე, სადაც მოხდა არჩვის მოძიება, არის საკმაოდ შეზღუდული ფართობის მქონე ჰაბიტატი და ამ სახეობის პოპულაციის მნიშვნელოვანი ზრდა სალიცენზიო ტერიტორიაზე პრაქტიკულად გამორიცხულია, გამომდინარე იქიდან, რომ სამონადირეო მეურნეობის ლიცენზია დღეს მოქმედი კანონმდებლობით გაიცა მხოლოდ სახელმწიფო ტყის ფართობებზე და ვერ მოიცვა არჩვისთვის დამახასიათებელი ჰაბიტატი ანუ მიმდებარედ არსებული ალპური მდელოები და კლდოვანი მთები.

საბოლოო ჯამში, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჩლიქოსანთა აღნიშნული ორი სახეობა არ იგეგმება, როგორც მეურნეობის სანადირო სახეობები და არსებული ლიცენზიის ვადით (20 წელი).

შველი - მიუხედავად, რომ წინასწარი კვლევებისას დადგინა შველის არცთუ მცირე პოპულაციის არსებობა, იმისათვის, რომ მოხდეს ამ სახეობაზე სისტემატიური ნადირობა გასატარებელია ოთხი ღონისძიება:

1. უკანონო ნადირობის სრულად აღმოფხვრა, რაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ ტერიტორიის მკაცრად გაკონტროლების შემთხვევაში. მითუმეტეს, რომ წინასწარი კვლევისა ჩატარებული გამოკითხვით დადგენილია, რომ აღნიშნულ ფართობებზე სისტემატიურად ნადირობდა ძირითადად ადგილობრივი მოსახელობა. შესაბამისად,

უნდა გაკონტროლდეს სანადირო მეურნეობის ტერიტორიაზე კანონიერად გაფორმებული იარაღიანი (მონადირეების) გადაადგილებაც, რომლებიც შეიძლება იმიზეზებდნენ, რომ იმყოფებიან რომელიმე კანონით დაშვებულ სანადირო გადამფრენ სახეობაზე სანადიროდ, რაც შეიძლება იყოს მხოლოდ მიზეზი მეურნეობაში მოსახვედრად. აქ ხაზგასასმელია ის საკითხი, რომ სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე სანადირო ან სხვა იარაღით გადაადგილება არ უნდა ხდებოდეს სანადირო მეურნეობის ლიცენზიანტის ნებართვის გარეშე. სხვა მხრივ შეუძლებელი იქნება შველზე უკანონო ნადირობის აღბათობის სრულად აღმოფხვრა.

2. ორი მტაცებელი სახეობის მგელისა და ტურას პოპულაციების ყოველწლიური სისტემატიური რეგულირება, ვინაიდან შველი განსაკუთრებით გამრავლების პერიოდში წარმოადგენს ძირითად საკვებს ორივე მტაცებელი სახეობისთვის და შველის მაქსიმალური პოპულაციის მიღწევა შეუძლებელი იქნება მეურნეობის ტერიტორიაზე მტაცებელი სახეობების რიცხოვნობის სიმრავლის შემთხვევაში.
3. მარცვლოვანი ნათესები სანადიროდ (სასროლად) გამოყოფილ ლოკაციებზე (სანადირო კომპლექსების მიმდებარედ).
4. ქვა მარილის მათ შორის გაყიდვაში არსებული სპეციალური გარეული ჩლიქოსნების ანტიჰელმინტური ქვამარილის განთავსება სხვადასხვა ლოკაციებზე, განსაკუთრებით ცხოველთა ბილიკებზე და სარწყულელებელ ადგილებში, რომლებიც მონიშნული იქნება მეურნეობის ეგერების მიერ უშუალოდ მეურნეობის წარმოების მომდევნო წლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ შველის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი ორი პუნქტი. რაც შეეხება შველის შემოყვანას გამრავლების მიზნით, ეგ საკითხი არ არის პრაქტიკაში შველის როგორც სახეობის მთელი რიგი ფიზიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ვინაიდან ბუნებაში მოპოვებისა და ტრანსპორტირების დროს საშუალოდ 95% შემთხვევაში დგება ფატალური შედეგი, ანუ ცხოველის დაღუპვა.

გარეული ღორი: გარეული ღორის მოშენებისთვის ასევე არ არის აუცილებელი სავოლიერე მეურნეობა. ასევე მნიშვნელოვანია ზემოთ აღწერილი პირველი ორი პუნქტის განსაკუთრებული დაცვა. კერძოდ, უკანონო ნადირობის აღმოფხვრა და ტურისა და მგელის სახეობის პოპულაციების რიცხოვნობის შემცირება და სისტემატიური რეგულირება. აგრეთვე სახეობაზე დადებითად ზემოქმედებს მარცვლოვანი და ბოლქვოვანი კულტურების მცირე ფართობების შექმნა ანტიჰელმინტური ქვამარილის განფენა ტყეში ცხოველის ბილიკებზე, მაგრამ შველისგან განსხვავებით, შესაძლებელია გარეული ღორის სადედე ეგზემპლარების შექმნა სხვადასხვა სამონადირეო მეურნეობებში და ბუნებაში გაშვება სავალდებულო მცირევადიანი (სამ თვემდე) კარანტინის გავლის შემდგომ. მეურნეობა გეგმავს გარეული ღორის ეგზემპლარების შექმნასა და შემოყვანას აღნიშნულ ტერიტორიაზე.

ზ.ბ) ბიოტექნიკური ღონისძიებები

(სანადირო სახეობების სანაშენეები, დამზარე თავშესაფრები (ტიპი, მდებარეობა) დაავადებების პროფილაქტიკა, საკვებურების მოწყობა, ცხოველთა საკვებ მცენარეთა გაშენება და სხვ.)

სანადირო ცხოველების დაცვის, შენარჩუნების, გამრავლების, განსახლების და საბინადრო პირობების ხარისხის გაუმჯობესების ხელის შემწყობი ღონისძიებებისათვის საჭიროა ეფექტური ბიოტექნიკური ღონისძიებების წარმოება, რისთვისაც საჭიროა სანადირო ნადირ-ფრინველისათვის მაღალი ხარისხის ბიოლოგიური პირობების უზრუნველყოფა.

- გარეული ნადირ-ფრინველის დამატებითი საკვებით უზრუნველყოფა

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია განთავსებულია მთიანი შერეული ტყის ზონის ფარგლებში, სადაც ბინადრობენ მისთვის დამახასიათებელი ტიპიური გარეული ცხოველები. სამონადირეო მეურნეობის რეინჯერები სისტემატურად უზრუნველყოფენ მათ დამატებითი საკვების მიწოდებით. ამ ტიპის სამუშაოები ხელს უწყობს პოპულაციის ზრდის ხარისხის მაღალ მაჩვენებელს, რაც შემდგომში დადებითად მოქმედებს სამონადირეო მეურნეობის სწორი მართვის ფუნქციონირებაზე. ცხრილი 26. გარეული ნადირ-ფრინველის დამატებითი საკვებით უზრუნველყოფა

N	გარეული ცხოველების სახეობები	კვამარილი (კგ)	ნეკერი ოთლიანი (კონა)	თივა (კგ)	მარცვლოვანი (ქერი, შვრია და ხორბალი) საკვები (კგ)	წვნიანი ძირნაყარი (ვაშლი, ჭარხალი) (კგ)	კვარტალი
1	გარეული ღორი 1 სულზე	1.5 – 2	-	-	50-60	100	53, 46, 38, 40
2	შველი	1-1,5	20	50	20	30	42, 41, 36, 39,

ზ.გ) საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ცხოველთა სახეობების დაცვის, შენარჩუნებისა და აღწარმოების ღონისძიებები

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობებიდან გხვდება:

- 1. ძუძუმწოვრების - 8.**
 - 1.1 კავკასიური ციყვი;
 - 1.2 ევროპული მაჩქათელა
 - 1.3 ფოცხვერი
 - 1.4 მურა დათვი
 - 1.5 კეთილშობილი კავკასიური ირემი
 - 1.6 არჩვი
- 2. ფრინველების - 16.**
 - 2.1 ფასკუნჯი;
 - 2.2 ბატკანძერი (ან წვერიანი სვავი, ყაჯირი, კრავიჭამია);

- 2.3 ბეჭობის (ან თეთრმხრება) არწივი;
- 2.4 ველის (ან გრძელფეხა) კაკაჩა;
- 2.5 ქორცქვიტა (ან შავთვალა მიმონო, ლევანმიმინო);
- 2.6 სვავი;
- 2.7 ორბი;
- 2.8 ტყის ბუ;
- 2.9 კასპიური შურთხი
- 2.10 კავკასიური როჭო
- 2.11 დიდი მყივანა არწივი
- 2.12 მთის არწივი
- 2.13 გავაზი
- 2.14 წითელთვა შავარდენი
- 2.15 წითელფეხა შავარდენი
- 2.16 მცირე კირკიტა
- 3. რეპტილიების - 1.
 - 3.1 კავკასიური გველგესლა
- 4. თევზების - 1.
 - 4.1 მდინარის კალმახი;
- 5. ამფიბიები-1
 - 5.1 კავკასიური სალამანდრა

წითელი ნუსხის სახეობების დაცვისთვის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა მათი უკანონო მოპოვების აღკვეთა. სამონადირეო მეურნეობა ახორციელებს ლიცენზირებულ ტერიტორიაზე არსებული სანადირო და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების ფიზიკურ დაცვას და ბრაკონიული ქმედებების აღკვეთას. აღნიშნულისთვის მეურნეობის დაცვის სამსახურის ეგერებისთვის ჩატარებულია ინსტრუქტაჟი, რომლის მიხედვით, ფიზიკური დაცვისას უპირველესი პრიორიტეტი ენიჭება არა სანადირო სახეობებს (ღორი, შველი და სხვა) არამედ სწორედ წითელი ნუსხის სახეობების (ირემი, არჩვი, მტაცებელი ფრინველები და სხვა) დაცვას. ასევე, ყურადღება მიექცევა სანიტარული ნორმების, დაავადების პრევენციის, ხანძრის დაცვის მიზნით პროფილაქტიკური სამუშაოების განხორციელებას. მიზნობრივად განხორციელდება ღონისძიებები სავარგულებში ცხოველების საბინადრო პირობების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. გაკონტროლდება მტაცებელი ცხოველების რაოდენობა, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ, როგორც სასარგებლო სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებს. სამონადირეო მეურნეობა ყოველწლიურად ჩაატარებს შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან იმის განსამარტებლად თუ რაოდენ მნიშვნელოვანია რეგიონისთვის არჩვის პოპულაციის შენარჩუნება, კეთილშობილი ირმის გამრავლება და თუ რა ფასეულობას წარმოადგენენ ბუნებაში მაგალითად მტაცებელი ფრინველები.

ლიცენზირებულ ტერიტორიაზე ნადირობა მოხდება მხოლოდ სანადირო უბნად მიკუთვნებულ სავარგულებში, რომლებიც არ განეკუთვნება აღწარმოების უბნების ტერიტორიებს.

ზემოთ აღწერილი ქმედებები ხელს შეუწყობს სასარგებლო სანადირო და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების - კეთილშობილი ირემი, არჩვი - პოპულაციის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ზ.დ) ინვაზიური სახეობების ელიმინაციის ღონისძიებები (საჭიროების შემთხვევაში)

სამონადირო მეურნეობის ტერიტორიაზე ინვაზიური სახეობებიდან ბინადრობს ჩვეულებრივი ციყვი (*Sciurus vulgaris*) კანონმდებლობით დადგენილი წესით მოხდება ამ სახეობის რაოდენობის რეგულირება მათი მონადირების გზით. სამონიტორინგო დაკვირვების გათვალისწინებით მათი რიცხოვნობის მატების შემთხვევაში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეკომენდაციების საფუძველზე შესაძლებელია ჩატარდეს სხვა სახის ელიმინაციის ქმედებები.

ზ.ე) მოქმედი ბუნებრივი და ანთროპოგენური ნეგატიური ფაქტორების და პოტენციური საფრთხეების იდენტიფიკაცია და მათი აღმოფხვრის/შერბილების ღონისძიებები

სამონადირო მეურნეობის ტერიტორიაზე მოქმედი ბუნებრივი და ანთროპოგენური ნეგატიური ფაქტორები ამ დროისთვის არ მოქმედებს. სამონადირო მეურნეობის ტერიტორიაზე ფიტოსანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაავადების კერები არ არის გამოვლენილი. პერიოდულად (წელიწადში 1-ჯერ) ხდება ტყის მასივების სანიტარულ-ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი (დამატებითი მონიტორინგი/კვლევის ჩატარება განიხილება განსაკუთრებულ შემთხვევებში, კერძოდ: მავნებლების სწრაფი ხმობის, სტიქიური უბედურების თუ სხვა სახის გამოვლენილი საფრთხეების დროს). დაავადებათა კერების აღმოჩენის შემთხვევები ეცნობება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს, რათა დროულად მოხდეს ფიტოპათოლოგიური და ენტომოლოგიური კვლევები და რეკომენდირებული სამუშაოების ჩატარება. ლიცენზირებულ ტერიტორიაზე ხორციელდება ტყის მასივების შემოვლა და კონტროლი.

სხვა, ნებისმიერი სახის ბუნებრივი, ან/და ანთროპოგენური ნეგატიური საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ეცნობება სამინისტროს, ხოლო ადგილზე მოხდება დამხმარე სწრაფი რეაგირების ჯგუფის/ების შედგენა.

თ) ბიომრავალფეროვნების, მათ შორის, ენდემური და რელიქტური სახეობების, მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვისა და მდგრადი მართვის ღონისძიებები

ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებებისათვის მიზანშეწონილია მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ არსებული ცოცხალი ორგანიზმების ფიზიკური, ადგილობრივი მკვიდრი სახეობრივი შემადგენლობის, მრავალფეროვნების, მათი გენეტიკური

დაბინძურებისაგან, ეკოსისტემებისა და ჰაბიტატების პირვანდელი სახის შენარჩუნება, მავნებლებისაგან დაცვა.

ტყეები, სადაც აღინიშნება ბიომრავალფეროვნების ელემენტების მაღალი კონცენტრაცია გლობალურ, რეგიონულ ან „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობები და ერთზე მეტი ენდემური სახეობა, ასევე ბუნებრივი ლანდშაფტის წარმომქმნელი ტყეების მართვისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მინიმალური ჩარევა. საჭიროების შემთხვევაში, აქტიური მენეჯმენტის გზით, აუცილებელია ჩატარდეს კონსერვაციული და მდგრადი მართვის ღონისძიებები.

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეებიდან სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებულია **იმერული მუხა (*Quercus imeretina*)**, ლიცენზირებულ ტერიტორიაზე ტყეების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მაღალი რეგენერაციის ხარისხის საფუძველზე ტყის მდგომარეობა სტაბილურია. სამონადირეო მეურნეობის რეინჯერების მიერ ხორციელდება ტერიტორიის დაცვა-პატრულირება.

ი) ტერიტორიის განაწილება ხანძრის საშიშროების კლასების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების ნუსხა

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია წარმოდგენილია ხანძრის საშიშროების V ხარისხის კლასისაგან, რომელიც მოიცავს თხმელის, ლაფნის, ვერხვის კორომებს, მარადმწვანე ბუჩქნარებს, ჭალის ტყეებს, და სხვა ჭარბტენიან ტერიტორიებზე არსებულ კორომებს.

ხანძრის პრევენციის მიზნით ხდება ტყის ეკოსისტემების პერიოდულად გაწმენდა ნაყარისგან, ხმელი ტოტებისგან, მალე აალებადი ნივთიერებებისგან, შუშის ნატეხებისგან და სხვა ისეთი ნარჩენებისგან, რომლებიც ნაგვის სახით შესაძლებელია იქნას ნანახი ტყეში ან ბუჩქნარში.

ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებებიდან აუცილებელია ტყის ხანძრებისაგან დაცვის პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება:

ა) სახანძრო დანიშნულების საავტომობილო გზების გასუფთავება ნაყარი ტოტებისგან ტყის იმ უბნებში, რომლებიც ხასიათდება მაღალი სახანძრო საშიშროებით (სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმებით);

ბ) მოსალოდნელი ინტენსიური ხანძრის კერების აღმოფხვრის მიზნით, არსებულის შემთხვევაში ტყეების ჩახერგილობისაგან გაწმენდა (სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმებით);

გ) სამონადირეო მეურნეობის რეინჯერების მიერ ხანძრების გაჩენაზე მეთვალყურეობა, ხანძარსაშიშროების პერიოდში სადღეღამისო მორიგეობა;

დ) სამონადირეო მეურნეობის რეინჯერების აღჭურვა თანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებებით (რაცია, მობილური ტელეფონები);

ე) სახანძრო ინვენტარითა და ტექნიკით უზრუნველყოფა;

ვ) ტყეში სახანძრო უსაფრთხოების დაცვის ნიშნების განლაგება;

ზ) მოსახლეობასთან/ფერმერებთან სათანადო სააგიტაციო მუშაობა;

თ) ხანძარსაშიში კორომებიდან ძირნაყარი ხე-ტყის გამოტანა და უსაფრთხო ადგილზე განთავსება;

ი) ნადირობისა და ნადირობის სეზონის დაწყების წინ მონადირეების ინფორმირება ტყეების ხანძრებისგან დაცვასთან დაკავშირებით.

ტყეში ხანძრის გაჩენის შემთხვევა დაუყოვნებლივ ეცნობება შესაბამისი უწყების სამსახურებს.

დღეის მდგომარეობით მეურნეობის ტერიტორიის სამ ადგილზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ფარი შესაბამისი ინვენტარით:

1) კვრტ.54 - x-41.897081 y-42.782852

2) კვრტ.24 – x-41.939232 y-42.754157

3) კვრტ. ლიცენზირებული კვარტალი - x-41.950341 y-42.748323

გარდა ამისა, ეგერებისთვის განკუთვნილ შენობა ნაგებობებში, შენობებისა და ტყის ხანძრების ტავიდან ასაცილებლად, განთავსებული იქნება სახანძრო ინვენტარი.

კ) ინფორმაცია ტყეების სანიტარიული მდგომარეობის შესახებ და გაუმჯობესების ღონისძიებები, ტყის ენტომომავნებლებით და ფიტო დავადებებით ტყეების დაავადების პროფილაქტიკისა და სალიკვიდაციოდ რეკომენდებული ღონისძიებების ნუსხა ცალკეული ტერიტორიების მიხედვით

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ფიტოსანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაავადების კერები არ არის გამოვლენილი.

აუცილებელია, წლის გარკვეულ პერიოდში, სათანადო სპეციალისტის მიერ მეურნეობის რეინჯერებთან ერთად მოხდეს ტყის მასივების სანიტარულ-ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი და შეფასება. დაავადებათა კერების აღმოჩენის შემთხვევა კი დაუყოვნებლივ ეცნობოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სამსახურებს. კონსულტაციისა და შემდგომი მითითებების საფუძველზე ჩატარდეს ფიტოპათოლოგიური და ენტომოლოგიური კვლევა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმოს დაავადებათა სალიკვიდაციო სამუშაოები, სადაც მავნებლებთან ბრძოლაში გამოყენებულ იქნება ის ბიოლოგიური პრეპარატები, რომლებიც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით.

ლიცენზირებულ ტერიტორიაზე, სამონადირეო მეურნეობის რეინჯერების მიერ ხდება ტყის მასივების შემოვლა და სათანადო კონტროლი.

ლ) ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის მექანიზმები

მცველთა რაოდენობა, ტრენინგი, შესაბამისი ნაგებობები და სხვა

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია დაყოფილია ორ სარეინჯერო სამცველოდ და ემსახურება თორმეტი რეინჯერი. სამონადირეო მეურნეობის რეინჯერები ახორციელებენ ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის შემოვლას და სისტემურ კონტროლს; აღკვეთავენ ნებისმიერი სახის ბრაკონიერულ ქმედებებს; აწარმოებენ როგორც სანადირო ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების აღრიცხვას; აკონტროლებენ და აკვირდებიან კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოყოფილ ტყეკაფებს; უზრუნველყოფენ ტყის მასივების სანიტარული მდგომარეობის მონიტორინგს; ასეთი და სხვა სახის საკითხების ქმედებების უკეთ მართვისათვის მათ ყოველწლიურად უტარდებათ შესაბამისი ტრენინგი. რეინჯერების მიერ ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის მიზნით შემოვლაზე გასვლა ხდება ცენტრალური ოფისიდან, რომელიც განთავსებულია შემდეგ კოორდინატებზე: x-41.939232 y-42.754157 ტერიტორიის ეფექტური დაცვისათვის იგეგმება:

რეინჯერებისთვის დამატებით კვადროციკლების, რაციების და დრონების შეძენა.

მ) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაგეგმილი ღონისძიებები

საირმეს სამონადირეო ტერიტორია ესაზღვრება ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებს, რაც იძლევა საშუალებას ტურისტებისთვის მოეწყოს ბოტანიკური, ზოოლოგიური, გეოგრაფიული, გეოლოგიური, არქეოლოგიური თუ სხვა სახის შემეცნებით-სანახაობრივი ექსკურსიები.

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია და მისი სიახლოვე შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს ეკოლოგიური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, რეკრაციული ტურიზმი სხვადასხვა სახის სანადირო თუ სათევზაო ტურებით.

ნ) ინფრასტრუქტურის განვითარება

შესასვლელიები, ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა, ვიზიტორთა მომსახურების ინფრასტრუქტურა (სასტუმრო, ბილიკები, საინფორმაციო ცენტრი და სხვა), ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო ელ. მომარაგების, წყალმომარაგების და წყლის არინების სისტემების მითითება, სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული შიდა ინფრასტრუქტურა (გზები, ნაგებობები);

სამონადირეო მეურნეობას აქვს ერთი შესასვლელი საავტომობილო გზა, შიდა გზები და ბილიკები მოწესრიგებულია.

ლიცენზირებულ ტერიტორიაზე განსათავსებელია შემდეგი სახის ინფრასტრუქტურა:

ტერიტორიაზე დაყრა-განთავსება და ჩაყრა წყლის ობიექტებში. სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა მოხდება საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად. ამ საკითხის თაობაზე ხელშეკრულება დაიდება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან. სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე განთავსებულია ნაგვის ურნები.

პ) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ჰიდროლოგიური ქსელის დახასიათება

სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე მიედინება ორი ძირითადი მდინარე ესენია:

- მდინარე ხანის წყალი მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტში. სათავეს იღებს მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2 280 მეტრ სიმაღლეზე. მისი სიგრძეა 57 კილომეტრი და აუზის ფართობი შეადგენს 914 კვადრატულ კილომეტრს. სოფელ ვარციხესთან ერთვის მდინარე რიონს.
- მდინარე წაბლარის წყალი მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტში სათავეს იღებს მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2 475 მეტრ სიმაღლეზე. ის ერთვის ხანის წყალს მისი სიგრძე არის 29 კმ და აუზის ფართობი შეადგენს 230 კვადრატულ კილომეტრს.

აღნიშნულ მდინარეებში დაფიქსირებული არის მდინარის კალმახი (*Salmon fario*).

საქმიანობის დროში განაწილება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ხსენებული გეგმა-გრაფიკი - საქმიანობის დროში განაწილება.

ცხრილი 28. საქმიანობის დროში განაწილება

N	დასახელება	ერთეული	მინიმალური რაოდენობა	ერთეულის საორიენტაციო ღირებულება	ჯამური ღირებულება	2025	2026	2027	2028	2029	სულ
1	ცხოველთა დაცვის ორგანიზება / საეგერო სამსახური / ინფრასტრუქტურა										
1.1.	მეურნეობის შიდა ტერიტორიის საეგერო ხის ქობის მოწყობა	ერთეული	2	42,078	84,155	84,155	-	-	-	-	84,155
1.2.	კაპიტალური თავლა / საჯინიბოს მოწყობა (მინიმალური ფართობი 80 მ2)	ერთეული	1	250,000	250,000				250,000		250,000
1.3.	ცხენის სადგომის/თავშესაფარის მოწყობა შიდა ტერიტორიაზე	ერთეული	4	5,000	20,000		20,000				20,000
	სულ ღირებულება				354,155	84,155	20,000	-	250,000	-	354,155
2	ცხოველთა დაცვის ორგანიზება / საეგერო სამსახური / გადაადგილების საშუალებები ეგერებისთვის										
2.1.	მაღალი გამავლობის ა/მანქანა - სპეცავტომობილი	ერთეული	4	107,115	428,460	428,460	-	-	-	-	428,460
2.2.	თოვლმავალი	ერთეული	2	44,391	88,782	88,782	-	-	-	-	88,782
2.3.	თოვლსაწმენდი	ერთეული	1	200,005	200,005	-	-	200,005	-	-	200,005
2.4.	სპეცტექნიკა	ერთეული	1	200,000	200,000			200,000			200,000
2.5.	ბაგი	ერთეული	3	57,627	172,881.60	172,882	-	-	-	-	172,882
2.6.	კვადროციკლი	ერთეული	2	16,900	33,800	33,800	-	-	-	-	33,800
2.7.	ცხენი	ერთეული	10	5,000	50,000	25,370	24,630	-	-	-	50,000
	სულ ღირებულება				1,173,928	749,293	24,630	400,005	-	-	1,173,928
3	ეგერის აღჭურვილობა										
3.1.	უნიფორმის კომპლექტი (ორი ერთეული კაცზე)	ერთეული	12	1,500	18,000	18,000					18,000
3.2.	დურბინდი/თერმული	ერთეული	6	300	1,800	-	1,800				1,800
3.3.	რაცია	ერთეული	12	500	6,000	-	6,000				6,000

3.4.	ფოტოხაფანგი	ერთეული	40	400	16,000	16,000					16,000	
3.5.	დრონი	ერთეული	2	14,000	28,000	28,000					28,000	
					სულ ღირებულება	69,800	62,000	7,800	-	-	-	69,800
4	ინფრასტრუქტურა ვიზიტორებისთვის											
4.1.	ავდრის თავშესაფარი ღია ფარდულები (2*3მ).	ერთეული	6	10,000	60,000	-	20,000	40,000			60,000	
4.2.	სანადირო კოშკურა	ერთეული	10	1,500	15,000	-	7,500	7,500			15,000	
4.3.	შიდა ძირითადი გზის მოწყობა მეურნეობის დიაგონალზე ჯვარედინად (შესასვლელისა და გამოსასვლელის დამაკავშირებელი გზა - ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმებით)	ერთეული	1	1,000,500	1,000,500	-	250,125	250,125	250,125	250,125	1,000,500	
4.4.	ნარჩენების კონტეინერები შიდა გზასა და გამოსასვლელში	ერთეული	10	1,500	15,000	-	4,500	10,500			15,000	
4.5.	მონადირის სახლი - მეურნეობის ცენტრალური კოტეჯი / სასტუმრო ტურისტული და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურით	ერთეული	1	550,000	550,000	-		275,000	275,000		550,000	
4.6.	სასროლეთის მოწყობა	ერთეული	1	40,000	40,000	-		40,000			40,000	
4.7.	სახანძრო ინვენტარი	ერთეული	2	400	800	800					800	
4.8.	საინფორმაციო ვებგვერდის შექმნა	ერთეული	1	4,000	4,000	4,000					4,000	
					სულ ღირებულება	1,685,300	4,800	282,125	623,125	525,125	250,125	1,685,300
5	ცხოველთა საშენები / მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა											
5.1.	ირმის საშენი	ჰა	10	30,000	300,000		300,000				300,000	
5.2.	ირმების შეძენა	ერთეული	10	20,000	200,000		200,000				200,000	
5.3.	არჩვის აღწარმოების შესაძლებლობის კვლევა	ერთეული	1	15,000	15,000	15,000					15,000	
5.4.	JPRS გადამცემი საყელო / საყურე	ერთეული	10	11,000	110,000					110,000	110,000	
5.5.	საკვებური ღორის	ერთეული	10	1,000	10,000	4,000	6,000				10,000	
5.6.	საკვებური ირმის / შვლის	ერთეული	10	1,000	10,000			10,000			10,000	
5.7.	სამარილე წერტილი	ერთეული	20	1,000	20,000	5,000	15,000				20,000	
					სულ ღირებულება	665,000	24,000	521,000	10,000	-	110,000	665,000
6	აბრები											
6.1.	სამონადირეო მეურნეობის საზღვარი / ლიცენზიის გარეშე ნადირობა აკრძალულია	ერთეული	15	800	12,000	6,400	5,600				12,000	
6.2.	მიმდინარეობს ნადირობა/ტერიტორიის რუკა	ერთეული	20	43	850	850					850	

6.3.	თავშესაფარი - 500 მეტრი / ტერიტორიის რუკა/მარშრუტი	ერთეული	10	800	8,000		8,000				8,000	
6.4.	ტერიტორიის რუკა / პირველადი დახმარების პუნქტი	ერთეული	10	783	7,827		7,827				7,827	
6.5.	სანადირო ბილიკი / ტერიტორიის რუკა	ერთეული	10	700	7,000				7,000		7,000	
6.6.	ტურისტული ბილიკი / ტერიტორიის რუკა	ერთეული	10	690	6,900				6,900		6,900	
6.7.	ცხოველთა რეზერვატი / მყუდროების ზონა / აქტიურობა აკრძალულია	ერთეული	10	660	6,600				6,600		6,600	
6.8.	ტერიტორიიდან გასასვლელი / ტერიტორიის რუკა	ერთეული	4	660	2,640		2,640				2,640	
					სულ ღირებულება	51,817	7,250	24,067	-	20,500		51,817
					მთლიანი ღირებულება	4,000,000	931,498	879,622	1,033,130	795,625	360,125	4,000,000

გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებების და ქმედებებისა, შესრულდება ყველა ის მოთხოვნა, რაც „შპს „საირმის სამონადირეო მეურნეობა“-ზე (ს/კ 425057573) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 7 ნოემბრის N638/ს ბრძანებით დადგენილია ლიცენზიანტის ვალდებულებად.

დანართი 1. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 7 ნოემბრის N638/ს ბრძანება



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

07 ნომბერი 2024



N 638/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს "საირმის სამონადირეო მეურნეობა"-ზე (ს/კ 425057573) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილების მე-3 მუხლის, „სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემისათვის სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 3 ოქტომბრის N1406 განკარგულების, „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2017 წლის 20 მარტის N1/ს ბრძანების, „სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 07 ოქტომბრის N 571/ს ბრძანების, 2024 წლის 05 ნოემბერს ჩატარებული ელექტრონული აუქციონის N 115691QU1102324924 შედეგების და შპს "საირმის სამონადირეო მეურნეობა"-ს 2024 წლის 06 ნოემბრის (სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი: 07.11.2024 N 10711) განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გაცეს შპს "საირმის სამონადირეო მეურნეობა"-ზე (ს/კ425057573) ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტებში, ვანი-ბაღდათის სატყეო უბნის სულორის სატყეოს N23-26; 33-36; 39-42; ვანის-საირმის სატყეოს N11; 14; 18-55; და 58-ე, ბაღდათის-საირმის მე-4 კვარტლის N14-18 და 5-58 ლიტერებში, ქერშავეთის N 5; 12 და მე-13 კვარტლებში 13202 ჰა ფართობზე, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე (თანდართული შეიპჟაილები (Shp), სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია 30 წლის ვადით, „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული სალიცენზიო პირობებით.

2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ჩავიბახე გიძანება და ლიცენზიის ეხივ კვლევას
თ.გ. 07.11.2024.

ა) სამონადირეო მეურნეობის მოწყობისათვის /ფუნქციონირებისათვის ლიცენზიის მიღებიდან 5 (ხუთი) წლის ვადაში განახორციელოს არანაკლებ 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ინვესტიცია, ამ პუნქტით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობებისა და სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრული საინვესტიციო გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;

ბ) ლიცენზიის გაცემიდან I წლის ვადაში უზრუნველყოს არჩვის (*Rupicapra rupicapra*) აღწარმოების შესაძლებლობის კვლევა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, არჩვის აღწარმოების პროგრამის სამინისტროში შესათანხმებლად წარდგენა. ასევე, უზრუნველყოს სალიცენზიო ფართობზე ირმისა (*Cervus elaphus*) და სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრული სანადირო სახეობების საშენების მოწყობა, ბუნებაში მათი გაშვების მიზნით, სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში;

გ) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შესაბამისად, ყოველწლიურად განახორციელოს საშენში გამრავლებული ცხოველების გაშვება ბუნებრივ გარემოში, სსიპ - ველური ბუნების სააგენტოს სპეციალისტისა და სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლის დასწრებით;

დ) დადგენილი კვოტების საფუძველზე, უზრუნველყოს სანადირო სახეობების ყოველწლიური სავალდებულო ამოღება, სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შესაბამისად;

ე) ლიცენზიის გაცემიდან არა უგვიანეს ერთი წლისა, სალიცენზიო ფართობის დაცვის, ასევე ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, სალიცენზიო ტერიტორიაზე განათავსოს არანაკლებ 40 ერთეული ფოტო-ზაფანგი, ამავე მიზნით, შეიძინოს არანაკლებ ორი ერთეული დრონი;

ვ) ლიცენზიის გაცემიდან არა უგვიანეს ერთი წლისა, სალიცენზიო ტერიტორიის დაცვისა და სამონადირეო მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოს არანაკლებ 12 რეინჯერ-ეგერის დასაქმება;

ზ) ლიცენზიის გაცემიდან არა უგვიანეს ერთი წლისა, უზრუნველყოს ეგერებისთვის არანაკლებ 2 არაკაპიტალური ნაგებობის მოწყობა, რომელიც ასევე შეასრულებს პირველადი დახმარების მიზნით საჭირო სამედიცინო პუნქტის ფუნქციას და აღიჭურვება შესაბამისი ინვენტარით;

თ) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრული ვადების შესაბამისად განახორციელოს სამონადირეო მეურნეობაში მოპოვებული რესურსის აღრიცხვა - ცხოველების სახეობის, წონის მიხედვით, მოპოვების თარიღის, ადგილისა და დღის მონაკვეთის მითითებით, ასევე, შესაძლებლობის შემთხვევაში, სქესის და ასაკის მიხედვით;

ი) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრული საინვესტიციო გეგმა-გრაფიკით დადგენილ ვადებში, ვიზიტორებისთვის შექმნას და კეთილმოაწყოს მეურნეობაში მისასვლელი და შიდა გადაადგილებისთვის საჭირო გზები, ასევე, უზრუნველყოს საცხენოსნო და საფეხმავლო მილიკების მოწყობა;

კ) მოაწყოს ვიზიტორების მოსასვენებელი კოტეჯ(ებ)ი და თავშესაფარი, სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრული საინვესტიციო გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;

ლ) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე უზრუნველყოს დამსვენებლების, ტურისტებისა და ადგილობრივ მოსახლეობის ტყეში თავისუფლად გადაადგილება და მათი უსაფრთხოება. ამასთან, სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით დადგენილ ვადებში, განახორციელოს საინფორმაციო დაფების და გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება;

მ) სამონადირეო მეურნეობაში შექმნას ვეტერინარული პუნქტი, სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შესაბამისად; მოახდინოს სამონადირეო მეურნეობის სავარგულეებში მოპოვებული სანადირო რესურსის ვეტერინარული შემოწმება;

ნ) ადგილობრივი მოსახლეობისათვის ჩაატაროს საგანმანათლებლო ღონისძიებები ნადირობისა და სახეობების აღწარმოების საკითხებთან დაკავშირებით, სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შესაბამისად;

ო) ლიცენზიის გაცემიდან არა უგვიანეს ერთი წლისა, ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვის მიზნით, უზრუნველყოს სახანძრო ინვენტარის შექმნა (შენიშვნა და ტყის ხანძრების თავიდან ასაცილებლად/სალიკვიდაციოდ) და განთავსება ეგერებისათვის განკუთვნილ ნაგებობებში;

პ) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს, რომ სამონადირეო მეურნეობაში დასაქმებული პერსონალის 80% წარმოადგენდეს იმ მუნიციპალიტეტ(ებ)ის ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებსაც მოიცავს ლიცენზია;

ჟ) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შემუშავების დროს გაითვალისწინოს სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ლიცენზიებისა და საბადოების ადგილმდებარეობა და აღნიშნულ ტერიტორიაზე არ მოაწყოს სანადირო მეურნეობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა;

რ) ხელი არ შეუშალოს ტყის მართვის ორგანოს, სატყეო სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელებაში. სახელმწიფო ტყის ტერიტორიის მართვის ორგანო ვალდებულია აღნიშნული ღონისძიებების დაწყების შესახებ აცნობოს ლიცენზიის მფლობელს;

ს) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს სამონადირეო მეურნეობის საინფორმაციო ვებგვერდის შექმნა და ფუნქციონირება და სამონადირეო მეურნეობის მომსახურების პირობების შესახებ ინფორმაციის განთავსება;

ტ) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით სარგებლობისას ხელი არ შეუშალოს სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ფარგლებში არსებულ/გაცემულ ან მომავალში გასაცემ, სარგებლობის ლიცენზიების, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების და კანონმდებლობით გათვალისწინებული რესურსებით სარგებლობის სხვა ლიცენზიების/ტყითსარგებლობის უფლების მფლობელების კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას, მათ შორის, სამთო და შესაბამისი მიწის მინაკუთვნილ გამოყენებაში, ასევე ამ ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის საბადოებსა და გამოვლინებებზე შესაბამისი ლიცენზიების გაცემას, ენერგეტიკული ობიექტების ფუნქციონირებას/განვითარებას, ახალი ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას და ობიექტების მშენებლობას, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელებას და შემდგომ ფუნქციონირებას. მათ შორის, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასა და ფუნქციონირებას, დაცული ტერიტორიების შექმნას. ამასთან, აღნიშნულ ლიცენზიებთან დაკავშირებით გაითვალისწინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები; სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ფართობის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის საბადოებზე და გამოვლინებებზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის, აგრეთვე ლიცენზიით განსაზღვრულ ფართობზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დადასტურებული ფართობების გადაფარვის შემთხვევაში, შესაბამისად სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ფართობი შესაძლებელია შემცირდეს შესაბამისი გამოვლინების/საბადოს, წყალმომარაგების სათავე ნაგებობის, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სარგებლობის, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული ფართობის/კერძო საკუთრების ფართობის ფარგლებში;

უ) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით სარგებლობისას ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო არეალის მომიჯნავედ მიმდინარე ან/და დაგეგმილ საინვესტიციო პროექტ(ებ)ის განხორციელებასა და ფუნქციონირებას. სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის დასამტკიცებლად წარდგენამდე მიიღოს ამ საინვესტიციო პროექტ(ებ)ის განმახორციელებელ პირთა თანხმობა სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებაზე, რათა

სამონადირეო მეურნეობის მოწყობისა და საქმიანობის პროცესში გათვალისწინებული იყოს უსაფრთხოების ნორმები და სტანდარტები;

ფ) დაიცვას ლიცენზიის გაცემის შემდეგ სამონადირეო მეურნეობის მარეგულირებელ შესაბამის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მოთხოვნები და მათი გათვალისწინებით ცვლილებიდან არა უგვიანეს 12 თვისა სამინისტროში წარადგინოს სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის განახლებული (საჭიროების შემთხვევაში) პროექტი;

ქ) ხელი არ შეუშალოს ადგილობრივ მოსახლეობას კანონმდებლობით დადგენილი წესით სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული შესაბამისი ფართობების ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის მიზნით გამოყენებას;

ღ) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებისთვის, გეგმა-გრაფიკით დადგენილი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 2 თვისა, საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების დადასტურების შესახებ სააგენტოს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი (პირველი ან მეორე) კატეგორიის აუდიტორული მომსახურების გამწევი იურიდიული პირის დასკვნა;

ყ) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით სარგებლობისას ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობის მიმდებარე ტერიტორიაზე ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

შ) ვანი-ბადდათის სატყეო უბნის სულორის სატყეოს N23-26, 33-36 და 39-42; ვანის-საირმის სატყეოს N11, 14, 18-21 და 23-ე კვარტლებში სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა განახორციელოს აღნიშნულ ტერიტორიაზე გაცემული ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ ფართობზე სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა განახორციელოს 2028 წლის 10 ოქტომბრიდან;

ჩ) უზრუნველყოს სალიცენზიო ფართობზე ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვით ზონებში საქმიანობის განხორციელება ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი პირის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. ამასთან, ხელი არ შეუშალოს ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების მფლობელს საქმიანობის განხორციელებაში და დაიცვას სალიცენზიო ფართობზე არსებული ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობებისა და მათი დაცვის ზონების მოთხოვნები, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილების შესაბამისად;

ც) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების სათავე ნაგებობების II და III სანიტარიული დაცვის ზონებში დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები და საქმიანობა დაგეგმოს და განახორციელოს შესაბამის ლიცენზიანტთან/წყალმომარაგების ორგანიზაციასთან შეთანხმებით. ამასთან ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ხელი არ შეუშალოს წყალმომარაგების სისტემის ინფრასტრუქტურის მოწყობას და ფუნქციონირებას. სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას დაქვემდებარებული მიწისქვეშა წყლის ობიექტების II და III სანიტარიულ ზონებში უზრუნველყოს „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას დაქვემდებარებული მიწისქვეშა წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრისა და დამტკიცების წესის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 მარტის № 161 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 და მე-8 მუხლების მოთხოვნათა დაცვა;

ძ) მოაწყოს სანადირო/სათვალთვალო კომპურები სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრულ ვადებში;

წ) 2024 წლიდან ეტაპობრივად შეიძინოს ვიზიტორების და რეინჯერ ევრების გადაადგილების მიზნით მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებები: არანაკლებ 4 ერთეული მაღალი გამავლობის

სატრანსპორტო საშუალება, არანაკლებ 4 ერთეული კვადროციკლი, 2 ერთეული თოვლმავალი და 10 ცხენი, აგრეთვე, არანაკლებ 1 (ერთი) ერთეული სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალება - თოვლსაწმენდი. მოაწყოს მითითებული სატრანსპორტო საშუალებების განთავსებისა და სერვისის სივრცე;

ჟ) სალიცენზიო ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრულ ვადებში მოაწყოს სასროლეთი, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი თევზსასროლი აპარატებითა და სხვა საჭირო ინვენტარით.

ბ) ლიცენზიის მიღებიდან 1 წლის ვადაში შეაფასოს სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ცხოველთა საბინადრო გაუმჯობესების და აღწარმოების ხელშეწყობის პირობები, სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიის სამეურნეო პროდუქტიულობის არსებული და პოტენციური შესაძლებლობები და წარმოადგინოს სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე სახეობრივი სიმდიდრის გაზრდის მიზნით შესაბამისი/ადეკვატური ინვესტიციების განხორციელების გეგმა-გრაფიკი.

ჯ) უზრუნველყოს სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ეკოტურიზმის, სამოგვარულო - ტურისტული ნადირობის, შემეცნებითი, რეკრეაციული და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება და ამ მიზნით შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის განთავსება სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრულ ვადებში;

ჰ) დაიცვას „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით განსაზღვრული სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელის სხვა ვალდებულებები.

3. სალიცენზიო ვალდებულებების შესრულების მიზნით, ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოში რეგისტრირებული უფლებამოსილი სუბიექტის მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის სააგენტოში წარდგენა ამ ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო თანხის 3% ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 4 თვით მაინც უნდა აღმატებოდეს საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების ვადას;

4. საინვესტიციო გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ჯარიმის გარდა, სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს განსახორციელებელი (დარჩენილი) საინვესტიციო ღირებულების 0,05 პროცენტი ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

5. ლიცენზიის ვადის გასვლის ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოწყობილი ინფრასტრუქტურა ყოველგვარი ანაზღაურების და კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე რჩება სახელმწიფო საკუთრებაში.

6. საინვესტიციო ვალდებულებების სრულად შესრულების შემთხვევაში, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება 49 (ორმოცდაცხრა) წლამდე მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დავალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების შესაბამისად.

8. ბრძანება ძალაში შევიდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობისთანავე.

9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N 64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/638-21-4-202411071659>



დანართი 2. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 3 ოქტომბრის N1406
განკარგულება



საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 1406 2024 წლის 3 ოქტომბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემისათვის სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

1. „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების“ შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის 11¹ პუნქტის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიეცეს თანხმობა, გამოაცხადოს აუქციონი ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტებში, ვანი-ბაღდათის სატყეო უბნის სულორის სატყეოს №23-26, 33-36, 39-42, ვანის-საირმის სატყეოს №11, 14, 18-55 და 58-ე კვარტალებში, ბაღდათის – საირმის მე-4 კვარტალის №14-18 და 5-58 ლიტერებში და ქერშავეთის №5, 12 და მე-13 კვარტალებში 13202 ჰა ფართობზე სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით (30 წლის ვადით), შემდეგი

დამატებითი სალიცენზიო პირობებით (ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია):

ა) სამონადირეო მეურნეობის მოწყობისათვის/ფუნქციონირებისათვის ლიცენზიის მიღებიდან 5 (ხუთი) წლის ვადაში განახორციელოს არანაკლებ 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ინვესტიცია, ამ განკარგულებისა და სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრული საინვესტიციო გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;

ბ) ლიცენზიის გაცემიდან 1 წლის ვადაში უზრუნველყოს არჩვის (*Rupicapra rupicapra* Linnaeus) აღწარმოების შესაძლებლობის კვლევა და, კვლევის შედეგების გათვალისწინებით, არჩვის აღწარმოების პროგრამის სამინისტროში შესათანხმებლად წარდგენა, ასევე უზრუნველყოს სალიცენზიო ფართობზე ირმისა (*Cervus elaphus* Linnaeus) და სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრული სანადირო სახეობების საშენების მოწყობა, ბუნებაში მათი გაშვების მიზნით, სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში;

გ) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შესაბამისად, ყოველწლიურად განახორციელოს საშენში გამრავლებული ცხოველების გაშვება ბუნებრივ გარემოში, სსიპ – ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს სპეციალისტისა და სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლის დასწრებით;

დ) დადგენილი კვოტების საფუძველზე, უზრუნველყოს სანადირო სახეობების ყოველწლიური სავალდებულო ამოღება, სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შესაბამისად;

ე) ლიცენზიის გაცემიდან არაუგვიანეს ერთი წლისა, სალიცენზიო ფართობის დაცვის, ასევე ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, სალიცენზიო ტერიტორიაზე განათავსოს არანაკლებ 40 ერთეული ფოტო-ხაფანგი, ამავე მიზნით, შეიძინოს არანაკლებ ორი ერთეული დრონი;

ვ) ლიცენზიის გაცემიდან არაუგვიანეს ერთი წლისა, სალიცენზიო ტერიტორიის დაცვისა და სამონადირეო მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოს არანაკლებ 12 რეინჯერ-ეგერის დასაქმება;

ზ) ლიცენზიის გაცემიდან არაუგვიანეს ერთი წლისა, უზრუნველყოს ეგერებისთვის არანაკლებ 2 არაკაპიტალური ნაგებობის მოწყობა, რომელიც ასევე შეასრულებს პირველადი დახმარების მიზნით საჭირო სამედიცინო პუნქტის ფუნქციას და აღიჭურვება შესაბამისი ინვენტარით;

თ) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრული ვადების შესაბამისად, განახორციელოს სამონადირეო მეურნეობაში მოპოვებული რესურსის აღრიცხვა – ცხოველების სახეობის, წონის მიხედვით, მოპოვების თარიღის, ადგილისა და დღის მონაკვეთის მითითებით, ასევე, შესაძლებლობის შემთხვევაში, სქესისა და ასაკის მიხედვით;

ი) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრული საინვესტიციო გეგმა-გრაფიკით დადგენილ ვადებში, ვიზიტორებისთვის შექმნას და კეთილმოაწყოს მეურნეობამდე მისასვლელი და შიდა გადაადგილებისთვის საჭირო გზები, ასევე უზრუნველყოს საცხენოსნო და საფეხმავლო ბილიკების მოწყობა;

კ) მოაწყოს ვიზიტორების მოსასვენებელი კოტეჯ(ებ)ი და თავშესაფარი, სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრული საინვესტიციო გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;

ლ) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე უზრუნველყოს დამსვენებლების, ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ტყეში თავისუფლად გადაადგილება და მათი უსაფრთხოება. ამასთან, სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით დადგენილ ვადებში, განახორციელოს საინფორმაციო დაფებისა და გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება;

მ) სამონადირეო მეურნეობაში შექმნას ვეტერინარული პუნქტი, სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შესაბამისად; მოახდინოს

სამონადირეო მეურნეობის სავარგულებში მოპოვებული სანადირო რესურსის ვეტერინარული შემოწმება;

ნ) ადგილობრივი მოსახლეობისათვის ჩაატაროს საგანმანათლებლო ღონისძიებები ნადირობისა და სახეობების აღწარმოების საკითხებთან დაკავშირებით, სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შესაბამისად;

ო) ლიცენზიის გაცემიდან არაუგვიანეს ერთი წლისა, ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვის მიზნით, უზრუნველყოს სახანძრო ინვენტარის შეძენა (შენობისა და ტყის ხანძრების თავიდან ასაცილებლად/სალიკვიდაციოდ) და განთავსება ეგერებისათვის განკუთვნილ ნაგებობებში;

პ) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს, რომ სამონადირეო მეურნეობაში დასაქმებული პერსონალის 80% წარმოადგენდეს იმ მუნიციპალიტეტების ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებსაც მოიცავს ლიცენზია;

ჟ) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შემუშავების დროს გაითვალისწინოს სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ლიცენზიებისა და საბადოების ადგილმდებარეობა და აღნიშნულ ტერიტორიაზე არ მოაწყოს სანადირო მეურნეობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა;

რ) ხელი არ შეუშალოს ტყის მართვის ორგანოს სატყეო სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვაში/განხორციელებაში. სახელმწიფო ტყის ტერიტორიის მართვის ორგანო ვალდებულია, აღნიშნული ღონისძიებების დაწყების შესახებ აცნობოს ლიცენზიის მფლობელს;

ს) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს სამონადირეო მეურნეობის საინფორმაციო ვებგვერდის შექმნა და ფუნქციონირება და სამონადირეო მეურნეობის მომსახურების პირობების შესახებ ინფორმაციის განთავსება;

ტ) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით სარგებლობისას ხელი არ შეუშალოს სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის

ფარგლებში არსებული/გაცემული ან მომავალში გასაცემი სარგებლობის ლიცენზიების, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული რესურსებით სარგებლობის სხვა ლიცენზიების/ტყითსარგებლობის უფლების მფლობელების კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას, მათ შორის, სამთო და შესაბამისი მიწის მინაკუთვნის გამოყენებაში, ასევე ამ ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის საბადოებსა და გამოვლინებებზე შესაბამისი ლიცენზიების გაცემას, ენერგეტიკული ობიექტების ფუნქციონირებას/განვითარებას, ახალი ენერგეტიკული პროექტების განხორციელებასა და ობიექტების მშენებლობას, სხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელებასა და შემდგომ ფუნქციონირებას, მათ შორის, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასა და ფუნქციონირებას, დაცული ტერიტორიების შექმნას. ამასთან, აღნიშნულ ლიცენზიებთან დაკავშირებით გაითვალისწინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები; სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ფართობის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის საბადოებსა და გამოვლინებებზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის, აგრეთვე ლიცენზიით განსაზღვრულ ფართობზე სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დადასტურებული ფართობების გადაფარვის შემთხვევაში, შესაბამისი სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ფართობი შესაძლებელია, შემცირდეს შესაბამისი გამოვლინების/საბადოს, წყალმომარაგების სათავე ნაგებობის, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სარგებლობის, ასევე სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული ფართობის/კერძო საკუთრების ფართობის ფარგლებში;

უ) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით სარგებლობისას ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო არეალის მომიჯნავედ მიმდინარე ან/და დაგეგმილი საინვესტიციო პროექტ(ებ)ის განხორციელებასა და

ფუნქციონირებას. სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის დასამტკიცებლად წარდგენამდე მიიღოს ამ საინვესტიციო პროექტ(ებ)ის განმახორციელებელ პირთა თანხმობა სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებაზე, რათა სამონადირეო მეურნეობის მოწყობისა და საქმიანობის პროცესში გათვალისწინებული იყოს უსაფრთხოების ნორმები და სტანდარტები;

ფ) დაიცვას ლიცენზიის გაცემის შემდეგ სამონადირეო მეურნეობის მარეგულირებელ შესაბამის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მოთხოვნები და, მათი გათვალისწინებით, ცვლილებებიდან არაუგვიანეს 12 თვისა სამინისტროში წარადგინოს სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის განახლებული (საჭიროების შემთხვევაში) პროექტი;

ქ) ხელი არ შეუშალოს ადგილობრივ მოსახლეობას კანონმდებლობით დადგენილი წესით სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული შესაბამისი ფართობების ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის მიზნით გამოყენებას;

ღ) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების შესრულებისთვის, გეგმა-გრაფიკით დადგენილი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 2 თვისა, საინვესტიციო ვალდებულების შესრულების დადასტურების შესახებ სააგენტოს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი (პირველი ან მეორე) კატეგორიის აუდიტორული მომსახურების გამწევი იურიდიული პირის დასკვნა;

ყ) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით სარგებლობისას ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

შ) ვანი-ბაღდათის სატყეო უბნის სულორის სატყეოს №23-26, 33-36 და 39-42; ვანი-საირმის სატყეოს №11, 14, 18-21 და 23-ე კვარტალებში

სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა განახორციელოს აღნიშნულ ტერიტორიაზე გაცემული ხეტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ ფართობზე სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა განახორციელოს 2028 წლის 10 ოქტომბრიდან;

ჩ) უზრუნველყოს სალიცენზიო ფართობზე ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვით ზონებში საქმიანობის განხორციელება ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი პირის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. ამასთან, ხელი არ შეუშალოს ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების მფლობელს საქმიანობის განხორციელებაში და დაიცვას სალიცენზიო ფართობზე არსებული ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობებისა და მათი დაცვის ზონების მოთხოვნები, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილების შესაბამისად;

ც) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების სათავე ნაგებობების II და III სანიტარიული დაცვის ზონებში დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები და საქმიანობა დაგეგმოს და განახორციელოს შესაბამის ლიცენზიანტთან/ წყალმომარაგების ორგანიზაციასთან შეთანხმებით. ამასთან, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ხელი არ შეუშალოს წყალმომარაგების სისტემის ინფრასტრუქტურის მოწყობასა და ფუნქციონირებას. სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას დაქვემდებარებული მიწისქვეშა წყლის ობიექტების II და III სანიტარიულ ზონებში უზრუნველყოს „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას დაქვემდებარებული მიწისქვეშა წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრისა და დამტკიცების წესის

თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 მარტის №161 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 და მე-8 მუხლების მოთხოვნათა დაცვა;

ძ) მოაწყოს სანადირო/სათვალთვალო კომპლექსები სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრულ ვადებში;

წ) 2024 წლიდან ეტაპობრივად შეიძინოს ვიზიტორებისა და რეინჯერ-ეგერების გადაადგილების მიზნით მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებები: არანაკლებ 4 ერთეული მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალება, არანაკლებ 4 ერთეული კვადროციკლი, 2 ერთეული თოვლმავალი და 10 ცხენი, აგრეთვე არანაკლებ 1 (ერთი) ერთეული სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალება – თოვლსაწმენდი. მოაწყოს მითითებული სატრანსპორტო საშუალებების განთავსებისა და სერვისის სივრცე;

ჭ) სალიცენზიო ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრულ ვადებში მოაწყოს სასროლეთი, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი თევზსასროლი აპარატებითა და სხვა საჭირო ინვენტარით;

ხ) ლიცენზიის მიღებიდან 1 წლის ვადაში შეაფასოს სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ცხოველთა საბინადრო გაუმჯობესებისა და აღწარმოების ხელშეწყობის პირობები, სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიის სამეურნეო პროდუქტიულობის არსებული და პოტენციური შესაძლებლობები და წარადგინოს სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე სახეობრივი სიმდიდრის გაზრდის მიზნით შესაბამისი/ადეკვატური ინვესტიციების განხორციელების გეგმა-გრაფიკი;

ჯ) უზრუნველყოს სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ეკოტურიზმის, სამოყვარულო-ტურისტული ნადირობის, შემეცნებითი, რეკრეაციული და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება და ამ მიზნით შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის განთავსება სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

2. სალიცენზიო ვალდებულებების შესრულების მიზნით, ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს საქართველოში რეგისტრირებული უფლებამოსილი სუბიექტის მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის სააგენტოში წარდგენა ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო თანხის 3%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 4 თვით მაინც უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების ვადას.

3. ამ განკარგულებითა და სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრული საინვესტიციო გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ჯარიმის გარდა, სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს განსახორციელებელი (დარჩენილი) საინვესტიციო ღირებულების 0,05 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4. ლიცენზიის ვადის გასვლის ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოწყობილი ინფრასტრუქტურა, ყოველგვარი ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე, რჩება სახელმწიფო საკუთრებაში.

5. საინვესტიციო ვალდებულებების სრულად შესრულების შემთხვევაში, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება 49 (ორმოცდაცხრა) წლამდე მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. აუქციონის საწყისი ფასი განისაზღვროს 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობით. აუქციონში მონაწილეობისათვის ბეს თანხა განისაზღვროს საწყისი ფასის 50%-ით.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი კობახიძე



არჩვის მოშენების შესაძლებლობის კვლევა საირმის სამონადირეო მეურნეობაში

ზურაბ გურიელიძე

თბილისი, 2025 წ.

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია	
ტაქსონომია	
მორფოლოგია	
ჰაბიტატი და ეკოლოგია	
საფრთხეები	
ტერიტორიის აღწერა	
პოპულაციის მდგომარეობა	
საირმის სამონადირეო მეურნეობის ვარგისიანობის შეფასება არჩვისთვის	
პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობის ანალიზი	
რეინტროდუქცია	
განსახორციელებელი ქმედებები	
გამოყენებული ლიტერატურა	

I. ზოგადი ინფორმაცია

I.1. არჩვის (*Rupicapra rupicapra*) ტაქსონომია

Animalia - Kingdom

Chordata - Phylum

Mammalia - Class

Artiodactyla - Order

Bovidae - Family

Rupicapra - Genus

Rupicapra rupicapra - Species

ევროპაში გავრცელებული ქვესახეობები:

არჩვის ქვესახეობები განსხვავდებიან როგორც გეოგრაფიული გავრცელებით, ასევე ეკოლოგიური თავისებურებებით. ქვემოთ მოცემულია ძირითადი ქვესახეობები და მათი გავრცელება. (ცხრ#1)


ცხრილი #1. ევროპაში გავრცელებული არჩვის ქვესახეობები

ქვესახეობა	გავრცელება
<i>R. r. rupicapra</i>	ალპები, ავსტრია, შვეიცარია
<i>R.r. caucasica</i>	დიდი კავკასიონი (საქართველო, აზერბაიჯანი, რუსეთი)
<i>R. r. asiatica</i>	სამხრეთ კავკასია (საქართველო, მცირე კავკასიონი; თურქეთი)
<i>R. r. balcanica</i>	ბალკანეთი (ბულგარეთი, ალბანეთი)
<i>R. r. carpatica</i>	კარპატები (რუმინეთი)
<i>R. r. cartusiana</i>	საფრანგეთი – შარტუზის მასივი
<i>R. r. ornata</i>	ცენტრალური იტალია – აპენინები
<i>R. r. tatica</i>	ტატრების მთა (პოლონეთი, სლოვაკეთი)


საირმის სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე გვხვდება *Rupicapra rupicapra asiatica* -ს ერთეული ინდივიდები (ნახ#1)

გავრცელება:

- საქართველო – აჭარის მთიანეთი, ბორჯომის ხეობა, ისტორიული გავრცელება შეიძლება მოიცავდეს ტაბაწყური, ახალციხე, ადიგენი
- თურქეთი – ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონები
ზღვის დონიდან: 1000–2700 მ



ნახ#1. არჩვის ქვესახეობების გავრცელება ევროპაში (ზუნების დაცვის მსოფლიო კავშირის მიხედვით/IUCN)



ნახ#2. არჩვის ქვესახეობების გავრცელება საქართველოში

I.2.მორფოლოგია

არჩვი (*Rupicapra rupicapra*) არის სამუალო ზომის ცხოველი რომელიც გავრცელებულია მთიან რეგიონებში ევროპასა და კავკასიაში.

მორფოლოგიური მახასიათებლები:

- სხეულის სიგრძე: 110–130 სმ
- სიმაღლე ნიდაოში- დაახლოებით 70–80 სმ
- წონა: 25–50 კგ
- რქები: მოკლე, უკნიდან მოლუნული, რქები დამახასიათებელია ორივე სქესისათვის, სქესობრივი დიმორფიზმი სუსტად არის გამოხატული



ნახ.3. მარცხნივ -მამრის რქები; მარჯვნივ- მდედრის

I.3. ჰაბიტატი და ეკოლოგია

არჩვის ძირითადი ჰაბიტატი მთიანი ლანდშაფტია, ის ვერტიკალურად ვრცელდება 3500 მეტრამდე ზღვის დონიდან. მისი არეალი მოიცავს მრავალფეროვან ჰაბიტატებს, მათ შორის ალპურ და სუბალპურ მდელოებს, ღია კლდოვან ტერიტორიებს, შერეულ ფართოფოთლოვან და წიწვოვან ტყეებს. უპრატესობას ანიჭებს ციცაბო, კლდოვან ადგილებს (Pedrotti & Lovari 1999).

არჩვი იკვებება მცენარეული საკვებით: ბალახებით, ფოთლებით, კვირტებით, ყლორტებითა და აგრეთვე სოკოებით (Sägesser and Krapp 1986).

მრავლდება ნოემბერ - დეკემბერში. მაკეობა გრძელდება 170 დღის განმავლობაში და, როგორც წესი, 1 ნაშიერს აჩენენ. მდედრები სქესობრივად მწიფდებიან 2.5 წლის ასაკში, ხოლო მამრები 1-1.5 წლის. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადგენს 14-22 წელს

მდედრები და ნაშიერები ქმნიან 5 დან 30 მდე ცხოველისგან შემდგარ ჯგუფებს, ზრდასრული მამრები კი მარტო არიან, მხოლოდ გამრავლების სეზონზე უერთდებიან მდედრებისა და ნაშიერების გუფებს.

ცხრილი #2. არჩვის ჰაბიტატები (ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის მიხედვით/ IUCN; 2021)

ჰაბიტატი		სეზონი	ვარგისიანობა	მნიშვნელობა
ტყე	ზომიერი სარტყლის ტყეები	ყველა	შესაფერისი	
ბუჩქნარი	ზომიერი სარტყლის სუბალპური ბუჩქნარი	ყველა	შესაფერისი	განსაკუთებული
მდელო	ზომიერი სარტყლის მდელო	ყველა	შესაფერისი	
კლდოვანი	მთის წვერები, კლდეები	ყველა	შესაფერისი	

I.4. საფრთხეები

ძირითად საფრთხეს არჩვისთვის წარმოადგენს ბრაკონიერობა და ჭარბი მოპოვება (ლეგალური ნადირობისას), განსაკუთრებით დაცული ტერიტორიების გარეთ. პოტენციურ საფრთხეს შეიძლება წარმოადგენდეს სხვა ქვესახობის შემოყვანა და მისი ჰიბრიდიზაცია ადგილობრივ ქვესახობასთან. მნიშვნელოვანი საფრთხეა - შეწუხება ადამიანის მიერ (მზარდი ტურისტული აქტივობა , განსაკუთრებით მთიან გარემოში), რაც ხშირ შემთხვევაში არჩვის რიცხოვნობის კლების მიზეზია (Shackleton 1997, Jurdíková 2000; Pęksa &

Ciach 2015, Pęksa & Ciach 2018). საფრთხეს ასევე წარმოადგენს შინაური საქონლის ძოვება მთაში, რომელიც ძლიერ კონკურენციას უწევს ამ სახეობას. საქონელი შეიძლება იყოს ისეთი დაავადებების გავრცელების წყარო, როგორცაა მაგ. მუნი (sarcoptic mange), თურქული და სხვა.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰაბიტატის დეგრადაცია, მაგალითად, გზების მშენებლობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, რასაც შეიძლება მოჰყვეს პოპულაციის იზოლაცია.


განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ანთროპოგენური აქტივობა 2000 მეტრის ზემოთ, მაგალითად, სათხილამურო ტურიზმი. ერთ-ერთი ასეთია ჰელისკი, რომელიც ზოგჯერ ზვავებს იწვევს, გაზრდილი აქტივობა კი უარყოფითად მოქმედებს მაკე მდედრებზე. აქედან გამომდინარე, მსგავსი აქტივობები უნდა იყოს დაშორებული არჩვის პოტენციური ჰაბიტატისგან.

I.5. ტერიტორიის აღწერა

სამიზნე ტერიტორია მდებარეობს ბალდათის მუნიციპალიტეტში. იგი განლაგებულია მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე წაბლარისწყლის ხეობაში, ზღვის დონიდან დაახლოებით 800 მდან-2100 მეტრამდე სიმაღლეზე. ჰავა რბილია. იცის მცირეთოვლიანი ზამთარი (იანვარში საშუალო ტემპერატურა - 1,0 °C) და ზომიერად თბილი ზაფხული (აგვისტოში საშუალო ტემპერატურა 17,0 °C). ნალექების რაოდენობაა 900 მმ წელიწადში. ტერიტორია გაყოფილია ორ დიდ ნაწილად საავტომობილო გზის და არსებული დასახლების გამო (ნახ.#4). აღნიშნული მნიშვნელოვნად ამცირებს ცხოველთა შესაძლო დისპერსიას.

I.5. პოპულაციის მდგომარეობა

არჩვის რიცხოვნობა სამიზნე ტერიტორიაზე მცირეა, ერთეული ინდივიდები. არ არსებობს თანამედროვე, ან ისტორიული სარწმუნო ინფორმაცია მათი რიცხოვნობის შესახებ. ასევე მწირია ინფორმაცია არჩვის პოპულაციის მდგომარეობის შესახებ მოსაზღვრე რეგიონებში. უნდა აღინიშნოს, რომ სამონადირეო მეურნეობა მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მოსაზღვრედ, სადაც ბინადრობს არჩვის მცირე პოპულაცია. მისი რიცხოვნობის გაზრდის შემთხვევაში, შესაძლებელია ეროვნული პარკიდან არჩვის აქ შემოსვლა, თუ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები. როგორც აღინიშნა, სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიას კვეთს ავტომაგისტრალი, რომელიც მნიშვნელოვან ბარიერს და შემაწუხებელ ფაქტორს წარმოადგენს არჩვისთვის და მისი დისპერსიისათვის.



ნახ.#4. საირმის სამონადირეო მეურნეობა

II. საირმის სამონადირეო მეურნეობის ვარგისიანობის შეფასება არჩვისთვის

საირმის სამონადირეო მეურნეობაში არჩვის აღდგენისთვის მნიშვნელოვანი საკითხია სახეობისთვის შესაფერისი ჰაბიტატების არსებობა. სამონადირეო მეურნეობის საზღვრებში არ არის მოქცეული ალპური და სუბალპური მდელოები, ტერიტორიის დიდ ნაწილს ესაზღვრება საზაფხულო საძოვრები. ორივე ფაქტორი, განსაკუთრებით კი ადამიანის საქმიანობა ტერიტორიაზე, წარმოადგენს მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორს. არჩვისთვის პოტენციურად ვარგისი ჰაბიტატები გვხვდება პერიფერიაზე.

არჩვის შესაფერისი ჰაბიტატის გამოსავლენად გავაკეთეთ ჰაბიტატის შესაფერისობის (ვარგისიანობის) ანალიზი, რომლისათვისაც გამოყენებული იქნა სპეციალიზირებული კომპიუტერული პროგრამა MAXENT.3.4.4 და გის ანალიზი QGIS 3.40.9 (Phillips et al.,2008; QGIS.org (2023))

ჰაბიტატის ვარგისიანობის შეფასებისათვის (Habitat Suitability Analysis) გამოყენებული იყო კლიმატური, გეოგრაფიული, ბიოლოგიური და ეკოლოგიური მახასიათებლები. შეირჩა ჰაბიტატის ისეთი მახასიათებლები, რომლებიც აუცილებელია არჩვის სიცოცხლიუნარიანი პოპულაციის არსებობისათვის.

ჰაბიტატის დახასიათება

Rupicapra rupicapra -სთვის აუცილებელი გარემო პირობების ნუსხა:

1. რელიეფი და სიმაღლე ზღვის დონიდან

- უპირატესად გვხვდება რთულ მისადგომ მთიან და კლდოვან ადგილებში
- ბინადრობს ზღვის დონიდან 800–3,000 მ სიმაღლეზე, იშვიათად შეიძლება ავიდეს 3000 მეტრზე მაღლა

2. ჰაბიტატი

- მნიშვნელოვანია კლდოვანი ფერდობები, ხევები, ციცაბო, რთული მისადგომი ადგილები — ეს არის თავდაცვის საშუალება მტაცებლებისგან. ე.ი. ირჩევენ ადგილებს, სადაც შესაძლებელია სწრაფად გადაადგილდნენ ციცაბო კლდეზე — ეს თავდაცვის სტრატეგიის ნაწილია.
- ზამთარში შეძლება შეგვხდეს შედარებით ქვედა ზონებში, სადაც ნაკლები თოვლია.

3. სათიბი და საძოვრები

- აუცილებელია ალპური და სუბალპური საძოვრები, მდიდარი ბალახოვანი მცენარეულობით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზაფხულში საკვების მისაღებად

4. საკვები რესურსები

ძირითად საკვებს წარმოადგენს:

- ბალახეული მცენარეულობა
- ბუჩქები (მაგ. მაყვალი, ძახველი, კუნელი, ღვია)
- ხავსები და ლიქენები
- თოვლიან პერიოდში – თოვლით დაფარული მცენარეულობა წარმოადგენს მნიშვნელოვან საკვებ წყაროს

5. წყალი

• წყლის მუდმივი წყაროები — ნაკადულები, რომლებიც არ შრება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გვალვის დროს.

6. კლიმატი

- ეგუებიან ცივ, ნოტიო კლიმატურ პირობებს. ქვიან ფერდობებს იყენებენ ქარისა და თოვლისგან დასაცავად.

7. ანთროპოგენული ზეწოლისგან დაცულობა

არ მიდიან ადამიანის დასახლებებთან, გაურბიან ანთროპოგენურ აქტივობებს.

მნიშვნელოვანია დადებითი მახასიათებლებია ნაკლები გზები, სატყეო სამეურნეო საქმიანობა, ძოვება და ნადირობა.

ჰაბიტატის ვარგისიანობის შეფასებისთვის შერჩეული იქნა შემდეგი პარამეტრები (ცვლადები):

გეოგრაფიული საზღვრები (ჩარჩო -Extent)

- მინიმალური ტერიტორია ცენტრის გარშემო (~30×30 კმ)
- ფორმატი: WGS84 (EPSG:4326)

მოსამზადებელი ცვლადები:

- ბიოკლიმატური ცვლადების წყაროს წარმოადგენს : WorldClim v2.1 – 30 arc-seconds (ტემპერატურა; ნალექიანობა); და **SRTM** (DEM, ფერდობები, ასპექტი). ადამიანური ფაქტორი დამუშავებული იქნა QGIS -3.40.9-ის გამოყენებით (Fick et al.,2017; Farr et al. 2007)

ცხრილი #3. გარემოს ცვლადების ნუსხა (Maxent-ისთვის)

კატეგორია	ცვლადი	აღწერა	მნიშვნელობა არჩვისთვის
კლიმატი	Bio1	საშუალო წლიური ტემპერატურა	გავლენას ახდენს აქტივობაზე, საკვებზე
კლიმატი	Bio5	ყველაზე თბილი თვის მაქსიმალური ტემპერატურა	ზაფხულში საძოვრების ხელმისაწვდომობა
კლიმატი	Bio6	ყველაზე ცივი თვის მინიმალური ტემპერატურა	ზამთრის გამძლეობა, თოვლის გავლენა
ნალექები	Bio12	წლიური ნალექების რაოდენობა	მცენარეულობის ზრდა
ნალექები	Bio18	თბილი სეზონის ნალექები	ზაფხულის საკვების რესურსი
რელიეფი	Elevation	სიმაღლე ზღვის დონიდან (DEM)	ძირითადი ჰაბიტატის განმსაზღვრელი
რელიეფი	Slope	ფერდობის დახრილობა	ციცაბო გარემო – მტაცებლებისგან თავდაცვა
ასპექტი	Aspect	ფერდის მდებარეობა (მზის მიმართ)	ზამთარში თბილი ფერდობები სასურველია
კლდოვანობა	Rockiness / Land cover	კლდოვანი ზედაპირები	უსაფრთხო ჰაბიტატისთვის

კატეგორია	ცვლადი	აღწერა	მნიშვნელობა არჩვისთვის
მცენარეულობა	Land cover / NDVI	მცენარეული საფარის ტიპი და სიმჭიდროვე	სამოვრები, საკვები რესურსები
წყალი	Distance to water	ახლოს ან შორს წყლის წყაროები	წყლის მიღება ზაფხულში
ადამიანური ფაქტორი	Distance to roads / settlements	დისტანცია გზებიდან ან სოფლიდან	უფრო დაცული არეალების არჩევა

ბიოლოგიური და კლიმატური პარამეტრების ანალიზი

ანალიზის პირველი ეტაპის შედეგად, რომელიც ითვალისწინებდა კლიმატური, გეოგრაფიული და ეკოლოგიური ფაქტორების ანალიზს, მიღებული იქნა ასეთი სურათი (ნახ #5) რომლის მიხედვითაც წარმოიქმნა არჩვისთვის ვარგისი წერტილების რამოდენიმე კლასტერი.

ანალიზის შედეგად მიღებული გავრცელების წერტილები დაჯგუფებული იქნა სიახლოვის მიხედვით. მათი დაჯგუფების შედეგად, *Minimum Bounding Geometri-* ს გამოყენებით გამოიყო რამოდენიმე მნიშვნელოვანი/ვარგისი ტერიტორია. დანარჩენი წერტილები, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დაშორებული სხვა პოტენციურ ადგილებს და ამავე დროს მცირე ფართობები აქვთ, შეიძლება განხილული იყოს როგორც ვარგისი ერთეული შემთხვევითი შემოსვლებისთვის და ვერ განიხილება არჩვისთვის მნიშვნელოვან ჰაბიტატებად.

ამ კრიტერიუმის მიხედვით გამოვლინდა 3 ძირითადი ჰაბიტატი (ნახ #6), მათი კოორდინატები მოცემულია ცხრილ #4, რომელთაც პირობითად მიენიჭა ნომრები #1, #2, და #3 ჰაბიტატები.


ცხრილი #4. ვარგისი ჰაბიტატების კოორდინატები

ID	X	Y	ფართობი ჰა
1	42.69276	41.96795	266
1	42.70151	41.97569	
1	42.72414	41.9735	
1	42.72761	41.96766	
1	42.72568	41.96661	
1	42.70189	41.96346	
2	42.67394	41.92462	851
2	42.69156	41.88844	
2	42.68925	41.86495	
2	42.67356	41.85384	
2	42.6715	41.86054	


3	42.75818	41.94104	1533
3	42.74545	41.89569	
3	42.7929	41.85633	

ცხრილი

#2 . პოტენციური



ნახ # 6.არჩვის ბინადრობისთვის ვარგისი წერტილები MAXENT-ის მიხედვით.




ნახ. #7. არჩვის ბინადრობის სავარაუდო ჰაბიტატები MAXENT-ის მიხედვით.

ანალიზის შემდეგი ეტაპი იყო მიღებულ მონაცემებში ადამიანის გავლენის გათვალისწინება. ადამიანის ფაქტორი (გზებთან, დასახლებულ პუნქტებთან და სხვა ინფრასტრუქტურულ ერთეულებთან სიახლოვე) წარმოადგენს მნიშვნელოვან შემზღუდავ ფაქტორს. ამიტომ ისეთი ჰაბიტატი, სადაც განლაგებულია გზები, ადამიანის დასახლებები, ან ტერიტორიაზე ანთროპოგენური აქტივობა ინტენსიურია, არ შეიძლება განხილული იყოს როგორც შესაფერისი და ვარგისი. ანალიზის შედეგად პოტენციურ ჰაბიტატებს გამოაკლდა ჰაბიტატი #3, რომელიც მდებარეობდა საავტომობილო გზის გასწვრივ, დასახლებული ზონის მოსაზღვრედ. შესაბამისობის კრიტერიუმები დააკმაყოფილა მხოლოდ ტერიტორია #1-მა და ტერიტორია#2-მა (ნახ.# 6,7,8).

ადამიანის გავლენის გარდა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ინდივიდუალური ტერიტორია, ანუ სამოსახლო ტერიტორია (*Home range*), რომელიც კორელირებს პოპულაციის სიმჭიდროვესთან. არჩვის ყველაზე მაღალი სიმჭიდროვე დაფიქსირებული შვეიცარიის ეროვნულ პარკში, 100ჰა-ზე - 5.81 ინდივიდან 8.72 ინდივიდამდე. ასეთ დროს ერთეული ინდივიდების ინდივიდუალური ტერიტორია შეიძლება მერყეობდეს 10-15 ჰექტრის ფარგლებში. ოპტიმისტური მოდელის შესაქმნელად ჩვენ გამოვიყენეთ სწორედ ეს პარამეტრები.

ჰაბიტატის ვარგისინობის ანალიზის შედეგად განსაზღვრული ორი მნიშვნელოვანი ტერიტორიის ფართობებია: ტერიტორია #1 - 266 ჰა და ტერიტორია #2 - 851 ჰა. თეორიულად ეს ორი ტერიტორია შეიძლება დაკავშირებული იყოს ერთმანეთთან, მაგრამ ამ შემთხვევაში შესაფერისი დამაკავშირებელი ჰაბიტატი ხვდება სამონადირეო მეურნეობის საზღვრებს გარეთ.


მაქსიმალური შესაძლებელი სიმჭიდროვის გათვალისწინებით ტერიტორია #1 საკმარისია -16, მაქსიმუმ 26 არჩვის, ხოლო ტერიტორია #2 კი 56-85 არჩვის საბინადროდ.



განსახლების შესაძლებლობა


საირმეს სამონადირეო მეურნეობაში მობინადრე არჩვის პოპულაციისთვის უახლოესი მეზობელი პოპულაციებია დასავლეთიდან კინტიში ნაკრძალის პოპულაცია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის პოპულაცია (ნახ.9). განსახლება შესაძლებელია, თუ ეს პოპულაციები მაღალ სიმჭიდროვეს მიაღწევენ. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დაშორება სამონადირეო მეურნეობიდან საკმაოდ მცირეა, ამიტომ შესაძლებელია არჩვის პოპულაციის განსახლება სამონადირეო მეურნეობის სამხრეთი საზღვრიდან, ბაღდათი-აბასთუმანი გზის დასავლეთით მდებარე სამონადირეო მეურნეობის ნაწილში, სადაც არის წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ჰაბიტატი (ნახ.10).

სამწუხაროდ ბორჯომ-ხარაგაულში მობინადრე პოპულაცია მცირერიცხოვანია, და ზოგადად მცირე კავკასიონზე მობინადრე პოპულაცია ფრაგმენტირებულია. ამის არჩვის განსახლება ამ ტერიტორიიდან შორეული მომავლის საქმეა. დასავლეთიდან არჩვის ექსპანსია ასევე რთულია. კინტიშის პოპულაცია შედარებით უფრო მრავალრიცხოვანია, მაგრამ არასაკმარისი სიმჭიდროვის განსახლებისათვის. მანძილიც აქედან გაცილებით უფრო დიდია (ნახ. #10,11).



ნახ#10. სამონადირეო მეურნეობაში დაცული ტერიტორიებიდან მიგრაციის შესაძლებლობა (მიმართულებები)

ნახ#9. სამონადირეო მეურნეობისა და დაცული ტერიტორიების მდებარეობა



III . პოპულაციის სიცოცხლიუნარიანობის ანალიზი

ჰაბიტატის ვარგისიანობის დადგენის შემდეგ, ჩატარებული იქნა პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობის ანალიზი. ანალიზისთვის გამოყენებულია პოპულაციის მდგრადობის სტოქასტური სიმულაციის პროგრამა VORTEX 10 (Lacy et al., 2025).

მოდელირებისათვის შეყვანილი იქნა შემდეგი პარამეტრები:

- ✓ რეპროდუქციული სისტემა - პოლიგამია
- ✓ რეპროდუქციული ასაკი: მდედრებისათვის (მინიმალური) 2 წელი, მამრებისათვის (მინიმალური) 3 წელი, მაქსიმალური რეპროდუქციული ასაკი 10 წელი. ნაშიერებების რაოდენობა წელიწადში 1.
- ✓ გამრავლებაში მონაწილე მდედრების და მამრების რაოდენობად მივიჩნიეთ მამრების და მდედრების მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობა (100% და 75% შესაბამისად)
- ✓ სიკვდილიანობის მაჩვენებლად მივიჩნიეთ მინიმალური მაჩვენებელი (10% ზრდასრულ ასაკში)

სიკვდილიანობის და შობადობის ასეთი კომბინაცია იძლევა საშუალებას შეიქმნას არჩვის პოპულაციის გადარჩენის ოპტიმისტური მოდელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკვლევ ტერიტორიაზე დაფიქსირებულია არჩვის შეხვედრის ერთეული შემთხვევები, არ არსებობს მონაცემები რიცხოვნობის, მისი დინამიკის შესახებ. ამიტომ, პოპულაციისათვის რიცხოვნობა განისაზღვრა არსებული ჰაბიტატიდან ტევადობიდან გამომდინარე, ჰაბიტატის ვარგისიანობის განსაზღვრისას. აღებული მაქსიმალური შესაძლო სიმჭიდროვე .


ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთი პოპულაციის რიცხოვნობა, რომლის შესაფერისი ტერიტორიის ფართობი შეადგენს 266 ჰა-ს, განისაზღვრა 16 ინდივიდით. ხოლო ეკოლოგიური ტევადობა კი- 26 ინდივიდით. მეორე პოპულაციის რიცხოვნობა, რომლის შესაფერისი ჰაბიტატის ფართობი შეადგენს 851 ჰა-ს, განისაზღვრა 56 ინდივიდით, ხოლო ეკოლოგიური ტევადობა 85 ინდივიდით.

მოცემული პარამეტრებიდან გამომდინარე, მივიღეთ შედეგი: ჰაბიტატი#1 ვერ უზრუნველყოფს პოპულაციის შენარჩუნებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყოველწლიურად დავამატებთ 5 ინდივიდს. უფრო დიდი რაოდენობით ინდივიდების დამატება შეუძლებელია, რადგან ეკოლოგიურ ტევადობაზე მეტი რაოდენობის დამატების შემთხვევაში მკვეთრად იზრდება სიკვდილიანობა (გრაფიკი #1). ჰაბიტატი #2 შემთხვევაში კი შესაძლებელია პოპულაციის შენარჩუნება. მაგრამ თუ დავუშვებთ ამოღებას, სიცოცხლისუნარიანობა აქაც მკვეთრად ეცემა. ორივე პოპულაციის შემთხვევაში შესაძლებელია სტაბილური პოპულაციის მიღება, თუ სამონადირეო მეურნეობის ფარგლებს გარეთ იქნებიან მრავალრიცხოვანი სტაბილური პოპულაციები, რომლებიდანაც ინდივიდები პერიოდულად გადავლენ სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე. ასეთ შემთხვევაში იქნება გენთა მიმოცვლა და შენარჩუნდება გენეტიკური მრავალფეროვნება,


რაზეც დამოკიდებულია პოპულაციის რეპროდუქციული წარმატება და რეზისტენტულობა სხვადასხვა დაავადებებისა და გარემო ფაქტორების ცვლილებების მიმართ.

ჩვენი ანალიზიც აჩვენებს, რომ პოპულაცია #1-ის გენთა მრავალფეროვნება სწარაფად ეცემა.

მოდელირების დროს გათვალისწინებული იყო ინდივიდების ამოღების და დამატების შესაძლებლობა (ამოღება და რეინტროდუქცია).



გრაფიკი #1. არჩვის პოპულაციების სიცოცხლისუნარიანობის ანალიზი. OX ღერძზე ნაჩვენებია წლები, OY ღერძზე - რიცხოვნობა. ლურჯი ხაზი - პოპულაცია #1; წითელი ხაზი - პოპულაცია #2. მწვანე ხაზი აღნიშნავს მეტაპოპულაციას (ტერიტორიაზე არსებულ ორივე პოპულაციას ერთად).



გრაფიკი#2. არჩვის პოპულაციების გენთა მრავალფეროვნების ცვალებადობა. ლურჯი ხაზი - პოპულაცია #1; წითელი ხაზი -პოპულაცია #2; მწვანე ხაზი - მეტაპოპულაცია.

IV. რეინტროდუქცია

არჩვის პოპულაციის აღდგენისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია რეინტროდუქცია. არსებული მეზობელი პოპულაციების მდგომარეობიდან გამომდინარე, ბუნებრივი განსახლება უსახლოეს წლებში (მინიმუმ 10 წლის განმავლობაში) შეუძლებელია. ამიტომ აღდგენის ერთადერთი გზაა რეინტროდუქცია.


მისაღებია როგორც ტრანსლოკაცია, ისე რეინტროდუქცია ზოოლოგიურ პარკებში არსებული პოპულაციების ხარჯზე (თუ ქვესახეობა შესაბამისია). გარდა ამისა, შესაძლებელია ინდივიდების შემოყვანა მეზობელი ქვეყნებიდან (მაგალითად, თურქეთიდან), სადაც პოტენციური წყარო პოპულაციები ბინადრობენ, თუ წყარო პოპულაციების მდგომარეობა ამის შესაძლებლობას იძლევა. მიუღებელია სხვა ქვესახეობის მათ შორის *Rupicapra rupicara caucasica* ინტროდუქცია.

რადგან შესაფერის ჰაბიტატს წარმოადგენს კლდოვანი, ნაწილობრივ ტყით დაფარული ფერდობები, ასეთ რელიეფზე ნახევრად თავისუფალი პოპულაციის შექმნა პრობლემატურია (რთულია ვოლიერების მოწყობა და მენეჯმენტი). ამიტომ მიზანშეწონილია სწრაფი გაშვების მეთოდი (ინდივიდების გაშვება პირდაპირ ველურ გარემოში).

როგორც პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობის ანალიზმა აჩვენა, გაშვებული ინდივიდების რაოდენობა უნდა იყოს მინიმუმ 25, ხოლო სქესთა შეფარდება 1:4 (5 მამრი: 20 მდედრი, გრაფიკი #3).

იმისათვის, რომ არსებულ პირობებში მივიღოთ სიცოცხლისუნარიანი პოპულაცია, სიკვდილიანობა მინიმალურ დონეზე უნდა იყოს და შეადგენდეს 10%-ს, ხოლო შობადობა მაქსიმალურ შესაძლო დონეზე-75%. იმ შემთხვევასაც კი, როდესაც შობადობა ან სიკვდილიანობა, ან ორივე ერთად, ბუნებრივ დონეზე იქნება (მაგ. შობადობა-50%, ხოლო სიკვდილიანობა იუვენილურ ასაკში-75%) პოპულაციის რიცხოვნობა იწყებს კლებას და გადაშენების საფრთხე ემუქრება. მოცემულ პირობებში პოპულაციის ასეთი მაჩვენებლები მიიღწევა მხოლოდ ადამიანის ჩარევის შედეგად, ვეტერინარული კონტროლის ეკოლოგიური და გენეტიკური მენეჯმენტის პირობებში. ვეტერინარული კონტროლი გულისხმობს დაავადების კონტროლს და პრევენციას, ვაქცინაციას, ანტიჰელმინთურ პრეპარატების გამოყენებას და სხვას, რაც უზრუნველყოფს სიკვდილიანობის შემცირებას. ეკოლოგიური და გენეტიკური მენეჯმენტის პირობებში ყალიბდება პოპულაციის ისეთ სტრუქტურა (სხვადასხვა სქესის და ასაკის ინდივიდების შეყვანის მეშვეობით), როდესაც ხელოვნურად იზრდება შობადობა,

ასეთი ტიპის ღონისძიებები შეიძლება დაიგეგმოს რეინტროდუქციის პირველი ეტაპის, ანუ პირველი 25 ინდივიდის გაშვების შემდეგ ან რეზიდენტული პოპულაციის (თუ ასეთი არის) დეტალური კვლევის შედეგად. (გრაფიკი #4.5)




გრაფიკი #3. რეინტროდუცირებული პოპულაციის დინამიკა VORTEX--ის მიხედვით

Default Scenario-Copy4-Copy2



გრაფიკი #3. არჩვის რიცხოვნობის დინამიკა შობადობის ბუნებრივთან დაახლოების დროს. VORTEX--ის მიხედვით

Default Scenario-Copy4-Copy2-Copy



გრაფიკი #4. არჩვის რიცხოვნობის დინამიკა, როდესაც სიკვდილიანობა ზუნებრივ უახლოვდება VORTEX--ის მიხედვით

იდეალურ შემთხვევაში, ყველა ინდივიდი აღჭურვილი უნდა იყოს სატელიტური ტრანსპონდერებით (საყელურებით), მათი დისპერსიის კონტროლისა და სასიცოცხლო პარამეტრების მონიტორინგისათვის.

პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობის გასაუმჯობესებლად, ყოველწლიურად უნდა დაემატოს მინიმუმ 5 ინდივიდი, პირველ წელს სქესთა შეფარდება შეიძლება იყოს 2 მამრი:3 მდედრთან.

აუცილებელია დაკვირვება პოპულაციის ძირითად პარამეტრებზე: სიკვდილიანობაზე, შობადობასა და დისპერსიაზე. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავდება ინდივიდების დამატების სქემა.

რეინტროდუქციისათვის მისაღები ტერიტორია არის ე.წ. ჰაბიტატი #2, რომელიც განისაზღვრა ჰაბიტატის შესაფერისობის ანალიზის შედეგად,

რეინტროდუქციის დროს გასათვალისწინებელია, რომ სამონადირეო მეურნეობის დასავლეთ მოსაზღვრე ტერიტორიებზე მდებარეობს საძოვრები, რომლებიც სამონადირეო მეურნეობის იურისდიქციის ფარგლებს გარეთ იმყოფება. ეს ეს საზღვრები წარმოადგენს არჩვის უკეთეს ჰაბიტატს, რომლის საშუალებითაც შეიძლება გაიზარდოს არჩვის ეკოლოგიური ტევადობა. გაზრდილი ეკოლოგიური ტევადება ზრდის პოპულაციის რიცხოვნობა და სიცოცხლიუნარიანობას მეორე მხრივ კი შინაური საქონელი შეიძლება გახდეს დაავადებების შეტანის წყარო.

ადამიანის სავარაუდო აქტივობები (მათ შორის სპორტული, სათხილამურო ინფრასტრუქტურა) დაშორებული უნდა იყოს ამ ტერიტორიას. დაშორების მანძილი განისაზღვრება აქტივობების სახეობებიდან და ინტენსივობიდან გამომდინარე.

ამოღება და ქვოტები

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული არჩვის ვარგისი ჰაბიტატების სიმცირე ვერ უზრუნველყოფს ამ სახეობის პოპულაციის რიცხოვნობას ისეთ ზრდას, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება გარკვეული რაოდენობის ინდივიდების ამოღება და ქვოტების დადგენა ასეთ სიტუაციაში აზრს მოკლებულია.

დასკვნები

1. საირმის სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული არჩვის შესაფერისი ჰაბიტატის ფართობი არასაკმარისია სიცოცხლისუნარიანი პოპულაციის დამოუკიდებლად, ადამიანის დახმარების (ან ჩარევის) გარეშე არსებობისათვის
2. არჩვის პოპულაციის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ინტენსიური (ეკოლოგიური, გენეტიკური და ვეტერინარული) მენეჯმენტის გზით, რაც გულისხმობს ინდივიდების ყოველწლიურად დამატებასაც
3. შობადობისა და სიკვდილიანობის ბალანსი შენარჩუნებული უნდა იყოს ოპტიმალურ საზღვრებში (მაღალი შობადობა და დაბალი სიკვდილიანობა), ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი მონიტორინგი
4. დოკუმენტში დასაბუთებული მიზეზების გამო (ტერიტორიაზე ადგილობრივი პოპულაციის არარსებობა და მხოლოდ ერთეული ინდივიდების შემოსვლა, ვარგისი ჰაბიტატის ფართობის სიმცირე, უახლოესი პოპულაციების შედარებით დაბალი რიცხოვნობა, ანთროპოგენური შეწუხება/გზა, დასახლება) შეუძლებელია უახლოეს მომავალში ქვოტების დადგენა და ნადირობის წარმოება
5. ბუნებრივად მდგრადი სიცოცხლისუნარიანი პოპულაციის შენარჩუნებისათვის და მისი მდგრადი გამოყენებისათვის აუცილებელია ა) გაიზარდოს არჩვის ბუნებრივი ჰაბიტატის ფართობი მეზობელი ჰაბიტატების საშუალებით
ბ) გაიზარდოს მოსაზღვრე დაცულ ტერიტორიაზე მოზინადრე არჩვის რიცხოვნობა და შეიქმნას ისეთი პირობები, რომ იგი დაუკავშირდეს სამონადირეო მეურნეობის პოპულაციას;
6. მსოფლიო მასშტაბით ტყვეობაში არსებული არჩვის პოპულაცია მცირეა, შესაბამისი ქვესახეობა (*Rupicara rupicara asiatica*) მონაცემთა ბაზებში (ZIMS, species 360) არ იძებნება. რაც ართულებს შესაძლებლობას ტყვეობაში მყოფი ინდივიდების მოძიებისა და შემდგომი რეინტროდუქციისათვის;
7. რეინტროდუქციისათვის აუცილებელი წყაროს მოძიების გარეშე არჩვის აღდგენა ვერ განხორციელდება. შესაბამისად, აღდგენის გეგმის დამტკიცება შესაძლებელია მხოლოდ წყარო პოპულაციის მოძიების და აღდგენის შესაძლებლობის კვლევის შემდეგ;

8. სასურველია ძალისხმევა მიმართული იყოს ისეთ სახეობის აღდგენაზე, როგორცაა კავკასიური კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus maral*), რაც განსაზღვრულია სალიცენზიო დოკუმენტით.

რეკომენდირებული განსახორციელებელი ქმედებები არჩვის პოპულაციის შემდგომი კვლევისთვის მეურნეობისთვის მოსაზღვრე ალპური და მთაკლდოვანი ტერიტორიების მიერთების შემთხვევაში

N	განსახორციელებელი ქმედებები	წლები					წლიური ბიუჯეტი	ბიუჯეტი სულ ლარი
		1	2	3	4	5		
1	სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ყოველწლიური აღრიცხვების წარმოება						10000	50000
2	პოტენციური სამიგრაციო დერეფნების შესწავლა						30000	60000
3	დერეფნების ფუნქციონირების აღდგენის ღონისძიებების შემუშავება						10000	20000
4	მოსაზღვრე პოპულაციების შესახებ ინფორმაციის მოძიება და კვლევის წარმოება						30000	60000
5	არჩვის პოპულაციების შესაძლო დაავადების კვლევა (პარაზიტოლოგიური და გენეტიკური კვლევა, არჩვის დამახასიათებელი დაავადებების შესწავლისთვის)						25000	50000
6	ანთროპოგენური წნეხის შემცირებისადმი მიმართული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება						10000	50000

გამოყენებული ლიტერატურა

1. Farr, T. G. et al., 2007, The Shuttle Radar Topography Mission, *Rev. Geophys.*, 45, RG2004, doi:10.1029/2005RG000183.
2. Fick, S.E. and R.J. Hijmans, 2017. WorldClim 2: new 1km spatial resolution climate surfaces for global land areas. *International Journal of Climatology* 37 (12): 4302-4315.
3. Jurdíková, N. 2000. The decline of the Tatra chamois. *Caprinae: Newsletter of the IUCN/SSC Caprinae Specialist Group* 2000: 4-6.
4. Lacy, R.C., and J.P. Pollak. 2025. Vortex: A stochastic simulation of the extinction process. Version 10.10.0. Chicago Zoological Society, Brookfield, Illinois, USA.
5. Pedrotti, L. and Lovari, S. 1999. *Rupicapra rupicapra*. In: A. J. Mitchell-Jones, G. Amori, W. Bogdanowicz, B. Kryštufek, P.J.H. Reijnders, F. Spitzenberger, M. Stubbe, J.B.M. Thissen, V. Vohralík, and J. Zima (eds), *The Atlas of European Mammals*, Academic Press, London, UK.
6. Pedrotti, L. and Lovari, S. 1999. *Rupicapra rupicapra*. In: A. J. Mitchell-Jones, G. Amori, W. Bogdanowicz, B. Kryštufek, P.J.H. Reijnders, F. Spitzenberger, M. Stubbe, J.B.M. Thissen, V. Vohralík, and J. Zima (eds), *The Atlas of European Mammals*, Academic Press, London, UK.
7. Pęksa, Ł. and Ciach, M. 2015. Negative effects of mass tourism on high mountain fauna: the case of the Tatra chamois *Rupicapra rupicapra tatrica*. *Oryx* 49(3): 500-505.
8. Pęksa, Ł. and Ciach, M. 2018. Daytime activity budget of an alpine ungulate (Tatra chamois *Rupicapra rupicapra tatrica*): influence of herd size, sex, weather and human disturbance. *Mammal Research* 63(4): 443-453.
9. Phillips, Steven & Dudík, Miroslav. (2008). Modeling of species distributions with MAXENT: new extensions and a comprehensive evaluation. *Ecography*. 31. 161 - 175. 10.1111/j.0906-7590.2008.5203.x.
10. Shackleton, D.M. 1997. *Wild Sheep and Goats and Their Relatives: Status Survey and Conservation Action Plan for Caprinae*. IUCN/SSC Caprinae Specialist Group, Gland, Switzerland and Cambridge, UK.